ეროვნული ბიბლიოთეკა

# კავკასიონი

© ყოველდღიური გაზეთი №12 (81) | კვირა, 22 იანვარი, 1995 | ფასი 150 000 კუპონი ან 500 რუბლი

# სახელმწიფო კურსი მკაცრდება!

გუშინ პარლამენტის სხდომათა დარბაზში გაიმართა რესპუბლიკის სამართალდამცავი ორგანოების გაერთიანებული რესპუბლიკური თათბირი, რომელმაც შეაჯამა განვლილი წლის შედეგები. თათბირს უძღვებოდა საქართველოს სახელმწიფოს მეთაური ედუარდ შევარდნაძე. მან შესავალ სიტყვაში გულწრფელობისკენ მოუწოდა შეკრების მონაწილეებს, სთხოვა, რომ ესაუბრათ ზოგადი ფრაზების გარეშე და წამოეჭრათ კონკრეტული საკითხები.

- ■ თავდაცვის მინისტრის მოადგილე აფხაზეთში ომის დროს თვითმფრინავებს საზღვარგარეთ ყიდდა (?!)
- ■ მაფიური კლანები გავლენის სფეროებს ინაწილებენ.
- ■ პარლამენტის წევრის საცხოვრებელში იარაღის მთელი არსენალი აღმოჩნდა.
- ■ 60 ცისტერნა ჩამოწერეს, დაჭრეს და ფოთში მიჰქონდათ გასაყიდად.
- ■ გარეთ სესხებს ვილებთ, შინ მილიონობით დოლარს ვკარგავთ!
- ■ ყოველ ნაბიჯზე ირღვევა პრივატიზაციის კანონი.
- ■ სასამართლოებში და პროკურატურებში... პირდაპირი ვაჭრობაა დაკანონებული (?!).
- ■ გენერალურ პროკურორს მაინც აქვს მდგომარეობის გამოსწორების იმედი.

რესპუბლიკის გენერალურმა პროკურორმა ჯამლეთ ბაბილაშვილმა დასაწყისშივე აღნიშნა, რომ თათბირი, ალბათ, 13 იანვარს მომხდარი მოვლენების შთაბეჭდილებების ქვეშ წარიმართებოდა. მან ხაზი გაუსვა, რომ სახელმწიფოს მეთაურის ბრძანების უზადო შესრულებამ დაადასტურა საქართველოს, როგორც სახელმწიფოს არსებობა. ამასვე [illegible]

[illegible] მანქანის გატაცებაში ეჭვმიტანილი როინ ყოჩიშვილი. კანონის ამგვარ დარღვევებზე აღძრულია სისხლის სამართლის საქმეები.

გამოსვლის დასასრულს გენერალურმა პროკურორმა გამოთქვა მოსაზრება, რომ მდგომარეობის გამოსწორება მოკლე დროში გახდება შესაძლებელი, თუ ადმინისტრაციულ ორგანოებზე სახელმწიფო და საზოგადოება იზრუნებს, ამგვარი ზრუნვის მაგალითად კი დაასახელა ქუთაისი, სადაც „ქუჩებში პოლიცია ბატონობს".

- ■ საქართველოში არ არსებობს ძალა, რომელიც იარაღის ძალით მოვა ხელისუფლებაში.
- ■ უნდა დაკანონდეს ორგანიზებულ ჯგუფებში აგენტების შეგზავნა.
- ■ უშიშროების სამსახურს ცილისწამების არ ეშინია.

საქართველოს უშიშროების სამსახურის უფროსმა იგორ გიორგაძემ პირველყოვლისა აუწყა დამსწრეთ, რომ სპეცსამსახური არც ერთ ქვეყანაში არ გამოდის საჯარო ანგარიშით და, ამიტომ, უპირატესად პრობლემებზე ილაპარაკებდა. მისი აზრით, თავიდანაა აცილებული სამოქალაქო ომის რეციდივები და დაიწყო ბრძოლა ორგანიზებული დამნაშავეობის წინააღმდეგ.

ქვეყანაში ბატონობს ამბიციები ხელისუფლების ხელში ჩაგდების მიზნით, მიმდინარეობს კაპიტალის ველური ფორმებით დაგროვება, მაგრამ იგიორგაძემ დაარწმუნა დამსწრე საზოგადოება, რომ საქართველოში არ არსებობს ძალა, რომელიც იარაღით შეძლებს ხელისუფლების ხელში ჩაგდებას. ამის შემდეგ, სახელმწიფო უშიშროების სამსახურის უფროსმა საყვედური გამოთქვა პარლამენტისა და შესაბამისი უწყებების მიმართ კანონშემოქმედებითი საქმიანობის ნელ ტემპში წარმართვის გამო. მისი აზრით, ცვლილებები უნდა მოხდეს პროცესუალურ კანონმდებლობაშიც. კერძოდ, უნდა დაკანონდეს ორგანიზებულ ჯგუფებში აგენტების შეგზავნა და შემდგომში, სასამართლო პროცესზე, მათი მოწმედ გამოყვანა. ნივთმტკიცებად უნდა იქნეს მიჩნეული აუდიო და ვიდეო მასალა და სხვა.

იგიორგაძე შეეხო უშიშროების თანამშრომელთა სოციალურ პრობლემებს და საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებს. თუ არ გავხსნით დანაშაულებს, საზოგადოება კვლავაც ეჭვის თვალით შემოგვხედავსო, აღნიშნა მან. გიორგი ჭანტურიას მკვლელობასთან დაკავშირებით იგიორგაძემ განაცხადა, რომ შექმნილია სპეციალური შტაბი სამსახურის უფროსის პირველი მოადგილის ხელმძღვანელობით და ამ შტაბს სხვა არაფერი ევალება. მკვლელობის ძიებაში ჩართულნი არიან ფსიქოლოგები, მოქმედებაშია მოყვანილი ყველაფერი, რაც უშიშროების სამსახურს გააჩნია. აქვე იგიორგაძემ ისიც აღნიშნა, რომ მის სამსახურს ვერაფერს ავნებს სხვადასხვა პარტიათა თუ დაჯგუფებათა ცილისწამება.

გამოსვლაში დიდი ადგილი დაეთმო კადრების მომზადების და დანაშაულთან ბრძოლის პროპაგანდისტულ-ინფორმაციული უზრუნველყოფის პრობლემას.

13 იანვრის მოვლენებთან დაკავშირებით იგიორგაძემ კმაყოფილება გამოთქვა, რომ ოპერაცია მაღალპროფესიულ დონეზე განხორციელდა, მაგრამ იქვე მკაცრად გააკრიტიკა მცხეთის, კასპის, გორის, ქარელის და ხაშურის უშიშროების სამსახურები, რომლებმაც კოლონის შეჩერება ვერ შეძლეს. „თუ გვინდა ვიყოთ სახელმწიფო, სახელმწიფოს მეთაურის ბრძანება სიცოცხლის ფასად უნდა შევასრულოთ!" — დასძინა უშიშროების სამსახურის ხელმძღვანელმა. მან, აგრეთვე, გააკრიტიკა პარლამენტის თავდაცვისა და უშიშ- [illegible]

[illegible] საუბარში კმაყოფილება გამოთქვა სამსახურის საქმიანობაზე, მეორე დღეს კი, მიტინგზე ხელი მოაწერა ნადიბაიძის და გიორგაძის გადადგომის მოთხოვნას.

გამოსვლის ბოლოს იგიორგაძემ თხოვნით მიმართა გამგებლებს, რომ უშიშროების რაიონული განყოფილებების მუშაკებს პირში მხოლოდ საქებარი სიტყვები უთხრან, საყვედური კი მას შეატყობინონ და იგი თავად მოსთხოვს ხელქვეითებს პასუხს — ეს მეთოდი უფრო ამართლებს და უფრო ეფექტურიაო. აქვე მან სახელმწიფოს მეთაურისგან ითხოვა ვადების გახანგრძლივება 13 იანვარს დაპატიმრებული 400 ადამიანის ფილტრაციისთვის.

- ■ 13 იანვარს ოპერაციის მსვლელობისას დაშვებული იყო სერიოზული შეცდომები.
- ■ ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლა წარუმატებლად მიმდინარეობს.

- ■ გასულ წელს დაიღუპა პოლიციის 96 თანამშრომელი, დაიჭრა — 150.
- ■ დაგროვდა 6000-მდე გაუხსნელი დანაშაული, თავისუფლად დათარეშობს 417 მკვლელი და 420 პოტენციური მკვლელი.

შს მინისტრის მოადგილის, ჯიმი მიქელაძის გამოსვლა უფრო თვითკრიტიკული იყო. ჯმიქელაძის აზრით, ბოლო დროს სამივე ძალოვანი სტრუქტურის ერთობლივი მოქმედება იმედს იძლევა, რომ შესაძლებელია ნებისმიერი დანაშაულის აღკვეთა. მანვე მოიტანა 13 იანვრის მოვლენებთან დაკავშირებული დაზუსტებული მონაცემები: დაკავებულია 382 პირი, თელავიდან ჩამოსული იყო 77 კაცი, მათ შორის 4 ძებნილი, რუსთავიდან — 35 და ა.შ. თუმცა მინისტრის მოადგილემ ისიც აღნიშნა, რომ ოპერაციის მსვლელობის დროს დაშვებული იყო სერიოზული შეცდომებიც.

რაც შეეხება ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლას, ჯმიქელაძის აზრით, აქ რაიმე წარმატებაზე საუბარიც კი ზედმეტია. არ გახსნილა არც ერთი ტერორისტული აქტი, რასაც დაემატა გია ჭანტურიას უმძიმესი მკვლელობაც. რეკეტი და მაფია დანაშაულის ახალი სახეობებია, რასაც ახალი კანონმდებლობა სჭირდება.

შს სამინისტროს მონაცემებით გასულ წელს დაიღუპა პოლიციის 26 თანამშრომელი, დაიჭრა — 150. რესპუბლიკაში გაიზარდა სახელმწიფო ქონების, პირუტყვის დატაცების შემთხვევები. ავტოსაგზაო შემთხვევებში დაიღუპა 494 ადამიანი. გზებზე კვლავაც გრძელდება მანქანებზე და ტვირთებზე ყაჩაღური თავდასხმები.

დანაშაულობები კი კვლავაც ცუდად იხსნება. უკანასკნელი წლების განმავლობაში 6000-მდე გაუხსნელი დანაშული დაგროვდა, აქედან 2700 — მძიმე. ყველაფერი ეს ადგილობრივი ორგანოების სუსტი მუშაობის შედეგია. ან რა მუშაობაზე შეიძლება საუბარი, როცა, ვთქვათ, კასპში 2 წელიწადში 3 პოლიციის უფროსი შეიცვალა, ადიგენში კი იგივე პერიოდში — 5. აქედან ლომაშვილი 3-ჯერ დაინიშნა და 2-ჯერ გათავისუფლდა პოლიციის უფროსის თანამდებობიდან.

ჯმიქელაძემ ქებით მოიხსენია ქუთაისის მერი თემურ შაშიაშვილი და მადლობა გადაუხადა პოლიციისთვის აღმოჩენილი დახმარებისთვის. მან დადებითად შეაფასა 5 იანვრის ბრძანებულება, რომლის მიხედვითაც ადგილობრივი პოლიციის ორგანოები ორმაგ დაქვემდებარებაში გადადიან.

გამოსვლის ბოლოს ჯიმი მიქელაძე ორ მტკივნეულ საკითხს შეეხო. პირველია ჯბაბილაშვილისგან ნახსენები საშიშ დამნაშავეთა ცუდი ძებნა: შსს მონაცემებით დღესაც დაუპატიმრებელია 417 მკვლელი და 420 საშიში ბანდიტი, რომელთა უმრავლესობა თავისუფლად დათარეშობს სხვადასხვა რაიონებში და საავტომობილო ტრასებზე. მეორეა ნარკომანია: მიუხედავად იმისა, რომ წლის განმავლობაში ამოღებულია 300 კგ-ზე მეტი ნარკოტიკი, 10 კგ-ზე მეტი ოპიუმი, მაინც ვერ მოხერხდა არხებისა და გზების გადაკეტვა ამ საშინელი სენის გამავრცელებელთათვის.

- ■ ციფრებს თუ დავუჯერებთ, საქმე უკეთესობისკენ მიდის, მაგრამ რეალობა საპირისპიროზე მეტყველებს.
- ■ ბანკირებს ურჩევნიათ, სახელმწიფოს მეთაურმა ყურადღება არ გამოიჩინოს მათდამი.
- ■ დამნაშავეთა სამყაროს გადაშენება არ ემუქრება, გასულ წელთან შედარებით გაიზარდა არასრულწლოვანთა დანაშაულები.

იუსტიციის მინისტრის თედო ნინიძის თქმით, სახეზეა ვითარების მოწესრიგების მყარი ტენდენცია. დასტურად მან რამოდენიმე ციფრი დაასახელა: სასამართლოებში შევიდა 7160 საქმე, რაც ბევრად მეტია 1993 წელთან შედარებით. განაჩენის გამოტანით დამთავრდა 6070 საქმე, რაც 1048 ერთეულით მეტია წინა წელთან შედარებით. გაიზარდა მსჯავრდებულთა რიცხვიც, მაგალითად, ყაჩაღობისთვის — 55 პროცენტით, 147 ერთეულით — ადამიანთა გატაცებისთვის.

იუსტიციის მინისტრი, ალბათ, გააგრძელებდა ციფრობრივი მონაცემების მოხმობას, მაგრამ საუბარში კვლავ სახელმწიფოს მეთაური ჩაერთო და სთხოვა თ.ნინიძეს კონკრეტულად ესაუბრა იმ საკითხებზე, რაც ამ ციფრების უკან იდგა, მაგალითად ადამიანთა გატაცების შესახებ. ამ სახის დანაშაული სცილდება კრიმინალურ სფეროს. ვიდრე ადამიანთა გატაცება არ მოი- [illegible]

[illegible] დების დარღვევის საკითხს და ამის ერთ-ერთ მიზეზად საბადრაგო სამსახურის მუშაობაში არსებული პრობლემები მიიჩნია. გარდა ამისა, სასამართლოებში მნიშვნელოვნად შემცირდა სახალხო მსაჯულთა რაოდენობა და ძირითადად პენსიონერთა კორპუსიღა დარჩა.

გამოსვლის ბოლოს მინისტრი შეეხო კიდევ ერთ მტკივნეულ საკითხს — არასრულწლოვანთა დანაშაულს, რომელიც წინა წელთან შედარებით გაიზარდა. პროფილაქტიკის მიზნით თ.ნინიძემ კიდევ ერთი წინადადება დააყენა. მისი აზრით, როცა აღარ არსებობს არასრულწლოვანებთან მუშაობის ადრეარსებული დაწესებულებები, უნდა შეიქმნას არასრულწლოვანთა საქმეებზე სპეციალიზირებული სასამართლოები, რომლებიც დანაშაულის პროფილაქტიკის ცენტრებად იქცევა.

- ■ დაუშვებელია „თვითშემოქმედება".

საგადასახადო ინსპექციის უფროსი დავით სარალიძე თავის გამოსვლაში შეეხო ადგილობრივი ბიუჯეტების მნიშვნელობის საკითხს და დაუშვებლად მიიჩნია „თვითშემოქმედება" ინსპექციის ცალკეული რგოლების მუშაობაში. ქვეყანაში შემოღებულია ფიქსირებული გადასახადები და ეს მარტივად წყვეტს ყველა კვალიფიკაციის პრობლემაზე და მიმდინარე წელს მუშაობის გაუმჯობესების იმედი გამოთქვა.

- ■ მოაზროვნე მერია და მუშაობის ეფექტურობის ზრდა.
- ■ ქუთაისში სახელმწიფო ქონებას ველარ იტაცებენ, ვისაც არ გჯერათ, გადაამოწმეთ!
- ■ ქუთაისელი ავტოინსპექტორები ვერ ბედავენ ტრანსპორტის უმიზეზოდ გაჩერებას.
- ■ რაში სჭირდება ქუთაისელ პარიკმახერს თბილისში უფროსი?!
- ■ წესრიგი თუნდაც სიცოცხლის ფასად!

ტრიბუნა ქუთაისის მერს თემურ შაშიაშვილს დაეთმო, რომელმაც აღნიშნა, რომ პირველად უხდება ამ ტრიბუნიდან ანგარიშით გამოსვლა. მან ჩამოაყალიბა სამი პრინციპი, რომლის მიხედვითაც მოქმედებს ქუთაისის ხელმძღვანელობა: 1. მოაზროვნე მერია ანუ თანამშრომელთა მაქსიმალურად შემცირება და მუშაობის ეფექტურობის ზრდა. ამჟამად ქუთაისის მერიაში 50 კაცი მუშაობს, გაზაფხულის ბოლოსთვის ეს ციფრი 30-მდე შემცირდება. 2. უძლიერესი საგადასახდო სამსახური. 3. მობილური პოლიცია.

„ქუთაისში დამალული დანაშაულის პრობლემა მოხსნილია! პრაქტიკულად ნოლზე დავიდა სახელმწიფო ქონების დატაცება!" — განაცხადა ქუთაისის მერმა და დარბაზის რეაქციის საპასუხოდ დასძინა: ვისაც არ გჯერათ, მიბრძანდით და თავად გადაამოწმეთ. 3 თვეა ქუთაისში მანქანის ქურდობა არ ყოფილა, ქალაქში არ არის არცერთი სამხედრო ფორმირება თუ ე.წ. საძმო. პრივატიზაცია იარაღის მუქარის გარეშე ხორციელდება, ადმინისტრაციული ორგანოების გარდა იარაღით არავინ დადის, უნომრო მანქანები არ მოძრაობს.

თემურ შაშიაშვილმა ამ ინფორმაციის მოსმენით აჩოჩქოლებულ დარბაზს რამოდენიმე წამით დამშვიდება აცალა და შეუდგა იმ ღონისძიებათა ჩამოთვლას, რითაც ქალაქის მერიამ მიაღწია ხსენებულ შედეგებს. როგორც კი ქუთაისის მერი ქალაქში ჩასულა მოვალეობის შესასრულებლად, პირველ რიგში ადგილობრივ ქურდებს შეხვედრია. მათ შეუთავაზებიათ — მოგვეცი [illegible]

[illegible] მევით ბიუჯეტის შემოსავალმა შარშან მეოთხე კვარტალში წინა 9 თვის საერთო მაჩვენებელს ორჯერ გადააჭარბა, საავტომობილო ქარხანა კი, სადაც, თ.შაშიაშვილის თქმით, დიდი უბედურება ტრიალებდა, ახლა უკვე ორ ცვლაში მუშაობს.

„ქუთაისში თუ ავტოინსპექტორი უმიზეზოდ გააჩერებს მანქანას, სამსახურს ტოვებს. ჩვენგან გამოგზავნილი პარლამენტისთვის განკუთვნილი ავეჯით დატვირთული მანქანა კი გზაზე საშინელ დღეში ჩავარდეს".

თ.შაშიაშვილმა ხაზი გაუსვა ადმინისტრაციის ადგილობრივი ორგანოების დამოუკიდებლობის მნიშვნელობას.

„რაში სჭირდება ქუთაისელ პარიკმახერს თბილისში უფროსი?!" — არც თუ რიტორიკის გარეშე, მაგრამ სამართლიანად დასვა კითხვა ქუთაისის მერმა.

იხილეთ მე-2 გვერდი

## საქართველო



გვატყობინებენ საინფორმაციო სააგენტოებისა და საკუთარი კორესპონდენტები

# სახელმწიფოს მეთაურის პრესკონფერენცია

20 იანვარს სახელმწიფოს მეთაურმა ედუარდ შევარდნაძემ ბულგარეთში ვიზიტის შედეგებთან დაკავშირებით გამართა პრესკონფერენცია.

სახელმწიფოს მეთაურის განცხადებით, საქართველოს საგარეო პოლიტიკური კურსი, რომელიც გულისხმობს მსოფლიოს ყველა ქვეყანასთან მეგობრობას, საქმიან კავშირს, ვითარდება და იზრდება. ამის კონკრეტული გამოხატულება გახლდათ ბულგარეთში ვიზიტი, რომლის უმთავრესი შედეგი იყო შეთანხმება მეგობრობისა და თანამშრომლობის შესახებ. ხელმოწერილი 14 დოკუმენტი ორ სახელმწიფოს შორის საქმიანი ურთიერთობის საფუძველი გახდება. სახელმწიფოს მეთაურსა და პრეზიდენტს შორის საუბრისას ყურადღების ცენტრში მოექცა კავკასიაში და ბალკანეთში მიმდინარე მოვლენები.

ვიზიტის დროს საინტერესო იყო შეხვედრა ბიზნესცენტრში. დაიწყება პირდაპირი საქმიანი ურთიერთობა ბულგარეთსა და საქართველოს საპორტო ქალაქებს შორის. მომავალში შეიქმნება სამთავრობათაშორისო ერთობლივი კომისია, ასევე დამყარდება ურთიერთობა საქართველოსა და ბულგარეთის პარლამენტებს შორის.

დასასრულ, სახელმწიფოს მეთაურმა უპასუხა ჟურნალისტების შეკითხვებს. 13 იანვრის მოვლენებთან დაკავშირებით ედუარდ შევარდნაძემ განაცხადა, რომ არ შეიძლება ხელისუფლებას ჰუმანიზმის საბაბით დამნაშავეთა დაუსჯელობა მოვთხოვოთ, რადგან ეს იქნება მოჩვენებითი ჰუმანიზმი. ყველაფერ ამას შეიძლება საშინელი შედეგები მოეტანა სამეგრელოს მოსახლეობისთვის, ისევე როგორც შურღაიას და სხვათა შეწყალებამ მიგვიყვანა სამოქალაქო ომამდე. „თუ სახელმწიფოს აშენება გვინდა, საქართველოში წესრიგი უნდა დამყარდეს და ყველაფერი სასამართლომ გადაწყვიტოს", — აღნიშნა სახელმწიფოს მეთაურმა.

კითხვაზე: „ჩეჩნეთის მოვლენების შემდგომი გაგრძელება ხომ არ გამოიწვევს სეპარატიზმის აღმავლობას ევროპაში, მსოფლიოში?" — ედუარდ შევარდნაძემ უპასუხა:

„ბულგარეთში ყოფნისას განვაცხადე და ახლაც გავიმეორებ: ჩეჩნეთის ტერიტორიაზე რუსეთის იურისდიქციის აღდგენა უახლოესი დღეების ან კვირების საქმეა. რუსეთს ყველაფერი უნდა გაეკეთებინა იმისთვის, რომ მისი ტერიტორიული ერთიანობა და მთლიანობა გარანტირებული ყოფილიყო. სხვა საქმეა, თუ რა დროს, რა ძალებით და რა საშუალებებით უნდა მომხდარიყო ეს; მაგრამ, პრინციპში, რუსეთს არ ჰქონდა უფლება შეგუებოდა თავისი ტერიტორიის ხელყოფას და დღეს ამაზე არავინ უნდა დაობდეს. თუ რუსეთის ხელმძღვანელები დღევანდელ მოვლენებს არ ჩამორჩებიან, ჩეჩნეთის კონფლიქტს რუსეთში სეპარატისტული მოძრაობის განვითარება არ უნდა მოჰყვეს. მე ვფიქრობ პირიქით: თუ ყველაფერი დამთავრდა ნორმალურად, თუ ეს კონფლიქტი დამთავრდა, მოგვარდა, ვფიქრობ — სეპარატისტული მოძრაობა შეიზღუდება და მაშინ, ჩემი აზრით, ამ მხრივ რაიმე განსაკუთრებული გართულებები მოსალოდნელი არ არის".

კითხვაზე: „რამდენად მოსალოდნელია იმ დაძაბულობის გაღრმავება, რაც შეიმჩნევა რუსეთსა და დასავლეთს, რუსეთსა და შეერთებულ შტატებს შორის?" - სახელმწიფოს მეთაურმა უპასუხა: „ერთგვარი დაძაბულობა არსებობს, თუმცა ვერ ვიტყვი, რომ იგი დრამატულ ხასიათს ატარებს. როგორ პარადოქსულადაც არ უნდა გეჩვენოთ, მე მაინც ვიტყვი: ჩეჩნეთთან დაკავშირებული პრობლემა უახლოეს ხანში მოგვარდება და რუსეთი კიდევ უფრო მჭიდრო ინტეგრაციაში შევა ევროპასთან. ხოლო რუსეთისა და შეერთებული შტატების ურთიერთობა უახლოეს ხანებში მკვეთრად გაუმჯობესდება. არა იმიტომ, რომ ჩვენ ასე გვსურს და გვჭირდება, მსოფლიოს სჭირდება ასე! მე დარწმუნებული ვარ, რომ რუსეთის პოლიტიკოსებს, კერძოდ, ელცინს და დასავლეთის პოლიტიკოსებსაც ეყოფათ შორსმჭვრეტელობა და პასუხისმგებლობა იმისთვის, რომ „ცივი ომის" დამთავრების შემდგომ აღებულ კურსს არ გადაუხვიონ და იგი ბოლომდე მიიყვანონ".




## ომი

მიუხედავად იმისა, რომ რუსეთის ფედერალურმა ჯარებმა აიღეს პრეზიდენტის სასახლე, გროზნოში ვითარება კვლავ რთულია.

+ + +

რუსეთის შინაგანი ჯარები ცდილობენ ჩეჩენთა განიარაღებას ნიკოლაევსკაიაში, იშერსკაიასა და სხვა დასახლებულ პუნქტებში.

+ + +

გროზნოს მიდამოებში ჩეჩენი მეომრები თავგანწირულ წინააღმდეგობას უწევენ რუსეთის არმიას. ცნობილია ალყაშემორტყმული ჩეჩენი მებრძოლების მიერ თვითაფეთქების ფაქტები.

+ + +

გროზნოში თითქმის დანგრეული პრეზიდენტის სასახლის ზედა სართულებზე ჯერაც შემორჩნენ ჩეჩენი კამიკაძე სნაიპერები.

+ + +

დუდაევის მებრძოლებთან შესაერთებლად ჩეჩნეთში იკრიბებიან მებრძოლები ადიღედან, იუგოსლავიიდან, ავღანეთიდან, აფხაზეთიდან.

+ + +

გროზნოს აეროპორტს აკონტროლებენ რუსეთის ფედერალური ჯარები. ჩეჩნები ცდილობენ აეროპორტის დაბრუნებას.

+ + +

ჩეჩნებს ტყვედ ჰყავთ 200 რუსი მებრძოლი, რომელთაც მხოლოდ იქ ჩასულ დედებს უბრუნებენ.

+ + +

როგორც დუდაევის ხელისუფლების წარმომადგენელმა უდუგოვმა განაცხადა, დუდაევი გროზნოში იმყოფება.

+ + +

ჩეჩნეთის მინისტრთა საბჭოს შენობის თავზე ორი დროშა ფრიალებს: ერთი — რუსეთის ფედერაციის, მეორე — ჩეჩნეთის რესპუბლიკის.

+ + +

რუსეთის ფედერალური ჯარების ხელმძღვანელობის ცნობით, ჩერნორეჩიეს რაიონში თავმოყრილია ჩეჩენთა ათასხუთასკაციანი რაზმი, რომელსაც შეიარაღებაში გააჩნია რამდენიმე ტანკი და „გრადის" ტიპის დანადგარი.

+ + +

ჩეჩენი მებრძოლები მაგრდებიან მდინარე სუნჟას მარჯვენა ნაპირზე. რუსეთის ფედერალური ჯარები აკონტროლებენ გროზნოს ჩრდილოეთ ნაწილს.

## საინტერესოა

### რუბლი თუ აშშ დოლარი?!

რუსეთის საინფორმაციო საშუალებებმა ინფორმირებულ წყაროებზე დაყრდნობით გაავრცელეს ცნობა, რომ რუსეთის ბაზარზე ამჟამად რუსულ რუბლზე ორჯერ მეტი ამერიკელი დოლარი ტრიალებს.

### დოლარი ფერს იცვლის

თანამედროვე ასლის გადამღები ტექნიკა იმ დონეზე დაიხვეწა, რომ მისთვის ხელმისაწვდომი გახდა 1990 წელს გამოშვებული ამერიკული სუპერ დოლარის ფალსიფიცირება. მომავალი წლიდან მიმოქცევაში შემოვა ახალი „დოლარი-ქამელეონი", რომელიც განათების ხარისხის მიხედვით ფერს შეიცვლის. ამერიკელები არსებული დოლარის მასის სრულ შეცვლას ვარაუდობენ უახლოეს ათ წელიწადში.

# სახელმწიფო კურსი მკაცრდება!

პირველი გვერდიდან

13 იანვრის მოვლენებთან დაკავშირებით თ.შაშიაშვილმა აღნიშნა, რომ ორი საათით ადრე შეიტყო „ლაშქრობის“ შესახებ და ამ „თავხედობის აპოგეის“ ალსაკვეთად სოფელ სიმონეთთან 500 კაცს მოუყარა თავი. „წესრიგი უნდა ვიყიდოთ არა მარტო ფულის, არამედ ჩვენი ჯანმრთელობის, თუნდაც სიცოცხლის ფასად!“ — განაცხადა ქუთაისის მერმა და დასასრულს იმედი გამოთქვა, რომ მომავალი არჩევნების შემდეგ ქვეყნის წესიერებას კრისტალურად სუფთა პარლამენტი განსაზღვრავს.

## ■ თბილისის იზოლატორში ყოველდღე შეიძლება ჩაინგრეს რამდენიმე კორპუსი, გრძელდება პატიმართა ცემა-წამება.

## ■ ამდენი ტერორისტული აქტი გაუხსნელია, შესაბამის ორგანოებს კი სინდისი არ აწუხებთ.

ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის თავმჯდომარემ **სანდრო კავსაძემ** ისაუბრა გასული წლის განმავლობაში გაწეულ მუშაობაზე. მისი გამოსვლა კრიტიკული პათოსით იყო განმსჭვალული. კერძოდ, მან აღნიშნა, რომ კუპონის კურსის ზრდამ ვერ გააუმჯობესა მოსახლეობის ცხოვრების დონე და სამომავლო პროგნოზებიც არასაიმედოა. ქვეყანაში ვერ მოხერხდა იმ ადამიანთა სოციალური დაცვის სისტემის შექმნა, რომლებმაც გადამწყვეტი როლი უნდა ითამაშონ დემოკრატიული სახელმწიფოს მშენებლობაში. ესენი არიან სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომლები და ჟურნალისტები. პოლიციელს 25 მილიონი კუპონიც კი ვერ დაენიშნა ხელფასად.

შემდეგ ს.კავსაძე შეეხო საპატიმროთა სავალალო მდგომარეობას. თბილისის იზოლატორში ყოველდღე შეიძლება რამდენიმე კორპუსი ჩაინგრეს, ადგილი აქვს პატიმართა ცემას, წამებას, ღირსების შელახვას. ჩვენი სასამართლო სისტემა ვერ პასუხობს დემოკრატიული სახელმწიფოს პრინციპებს.

გამომსვლელი შეეხო აფხაზეთში კვლავ მომხდარ ადამიანის უფლებათა შემლახავ ფაქტებს და გიორგი ჰანტურიას მკვლელობის ძიებასთან დაკავშირებულ საკითხებს. ყველა სახელმწიფო ადამიანისთვის იქმნება, ჩვენს შესაბამის ორგანოებს სინდისი არ აწუხებთ, რომ ამდენი ტერორისტული აქტი გასახსნელია, მე კი დღე და ღამე არ მძინავს, — აღნიშნა ს.კავსაძემ.

## ■ ან ნარკოტიკები, ან სახელმწიფო

ვიცეპრემიერი **ირაკლი მენაღარიშვილი** ნარკომანიის პრობლემებს შეეხო და აღნიშნა, რომ სათანადო მატერიალურ-ტექნიკური ბაზის უქონლობის გამო, პოლიციასაც და მედიკოსებსაც ამ სენთან შიშველი ხელებით უწევთ ბრძოლა. არის სხვა სირთულეებიც, რის საილუსტრაციოდ ვიცეპრემიერმა გასული წლის 27 აგვისტოს მომხდარი ფაქტი მოიყვანა. ამ დღეს სოფელ ერედვთან დააპატიმრეს 4 ოსი ეროვნების ნარკოტიკებით მოვაჭრე, ოსებმა ცხინვალში პიკეტები მოაწყვეს და დამნაშავეთა გადაცემას მოითხოვდნენ. ქართველებმა მოთხოვნა შეასრულეს, მაგრამ შხამით მოვაჭრენი არავის დაუსჯია. სათანადო ექსპერტიზის უქონლობის გამო ბევრი ნარკოტიკებით მოვაჭრე სასამართლოზე მხოლოდ შენახვის მუხლით გადის და იოლ სასჯელს იღებს.

## ■ პოლიციის სამმართველოს ბევრი თანამშრომელი „ჭოგრიტით ადევნებდა თვალს“ მოვლენებს.

## ■ ბორის კაკუბავა იმალება.

თბილისის პოლიციის შეფმა **დემურ მიქაძემ** პირდაპირ განაცხადა, რომ 13 იანვრის მოვლენებმა დაადასტურა არსებული ძალების უკმარისობა. ამასთან, სამმართველოს ბევრი თანამშრომელი „ჭოგრიტით ადევნებდა თვალს“ მოვლენათა განვითარებას და როცა ყველაფერი კარგად დამთავრდა, „სამმართველოში ტევა არ იყო“. ესენი ძირითადად ის პირები არიან, რომლებიც კიდევ ელიან რაღაცას და მათგან ორგანოების გათავისუფლება აუცილებელია.

სხვადასხვა პარტიები და პოლიტიკური ჯგუფები შეიარაღებულნი არიან. მაგალითად, ბორის კაკუბავას, რომელიც ამჟამად იმალება, სასტუმრო „ივერიის“ ნომერში უპოვეს მთელი არსენალი და ახალ წელს მთელ თბილისში სწორედ აქედან ისმოდა ყველაზე ინტენსიური სროლა. აღძრულია სისხლის სამართლის საქმე, კაკუბავას მეუღლე კი „დაქალებს აგროვებს კიტოვანის მხარდასაჭერად“.

## ■ მესტიის რაიონში აღარ არსებობს ადმინისტრაციული ხელისუფლება.

## ■ სამეგრელოში კვლავ არიან შეიარაღებული ჯგუფები.

**გივი ლომინაძემ** ყურადღება გაამახვილა დასავლეთ საქართველოში შექმნილ რთულ ვითარებაზე და განსაკუთრებით გამოყო მესტიის რაიონი, სადაც პრაქტიკულად აღარ არსებობს არც ადმინისტრაციული ხელისუფლება და არც სამართალდამცავი ორგანოები. მთელი წლის განმავლობაში რაიონში რეგისტრირებულია მხოლოდ 12 დანაშაული, როცა ამ რაოდენობის ბოროტმოქმედება ერთი დღის განმავლობაში ერთ სოფელში ხდება. გივი ლომინაძემ ვითარების მოსაწესრიგებლად საკმარისად მიიჩნია 40 კაციანი ჯგუფის ორი-სამი თვით გაგზავნა ამ რაიონში.

გივი ლომინაძის თქმით, კიტოვანი მხოლოდ 30 ავტომატით არ მიდიოდა აფხაზეთში სალაშქროდ. მას სამეგრელოში ელოდნენ შეიარაღებული ჯგუფები თავის დროზე ხელისუფლების მიერ შეწყალებული პირების ხელმძღვანელობით. ამ ჯგუფებთან კატეგორიული მუშაობაა საჭირო, ხაზი გაუსვა გამომსვლელმა.

საუბარში კვლავ სახელმწიფოს მეთაური ჩაერთო და დასახა ღონისძიებები დასმულ საკითხთა გადასაჭრელად. კერძოდ, მან დაავალა შესაბამის თანამდებობის პირებს აღნიშნულ საკითხებზე ბრძანებების მომზადება.

შემდეგმა გამომსვლელმა **ვალერი მიქაძემ** ისაუბრა ბორჯომ-ახალციხის რეგიონში შექმნილ მძიმე ვითარებაზე. იქ სამართალდამცავ ორგანოებს დამნაშავეთა საშინოდ ეშინიათ, აღნიშნა მან.

საბაჟო დეპარტამენტის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელმა **გ.მამულაშვილმა** ერთგვარი სინანულით განაცხადა, რომ საგადასახადო ინსპექციას 4-ჯერ გაუზარდეს ბიუჯეტში შესატანი თანხები, საბაჟოს კი — 16-ჯერ. თბილისის აეროპორტი თვეში საშუალოდ 42700 კაცს ატარებს, ამის ნახევარიც რომ ავილოთ, ქვეყანას 2 მილიონი დოლარის შემოსავალი ექნება. დედაქალაქში ყოველდღიურად 60-70 დიდი მანქანა შემოდის და საბაჟო გადასახადებს არ იხდის. დიღმის შემოსასვლელთან 1 თებერვლიდან შეიქმნება ტერმინალი, იქ დაგროვდება ყველა ტვირთი და მხოლოდ გადასახადების გადახდის შემდეგ შემოვა ქალაქში.

ნარკოტიკების წინააღმდეგ ბრძოლა ძალიან უჭირს საბაჟოს, რადგან გამსაღებლები კარგად არიან შეიარაღებულნი. ამიტომ გ.მამულაშვილმა საბაჟოსთვის სამართალდამცავი ორგანოს სტატუსის მინიჭება მოითხოვა.

**ლევან თედიაშვილის** აზრით, ნარკომანიაა ყაჩაღობის და ქურდობის მთავარი მიზეზი, რადგან ერთხელ გაკეთებას 200-300 ათასი რუბლი სჭირდება, ეს ფული კი არც თოხით იშოვება და არც ქარხანაში მუშაობით. მან მოსაზრება გამოთქვა, მოძებნილიყო ამ საშინელი სენით დაავადებულებისთვის დახმარების ფორმები.

აფხაზეთის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ **ზურაბ ერქვანიამ** ილაპარაკა ლტოლვილთა შორის დანაშაულის გავრცელებაზე, რის მთავარ მიზეზად ომით მიყენებული ტრავმები და მძიმე სოციალური პირობები დაასახელა. გარდა ამისა, შეეხო ჰუმანიტარული ტვირთების დატაცების ფაქტებს და აღნიშნა, რომ უკანონოდ მითვისებული საქონლის საერთო თანხამ 40 ათასი დოლარი შეადგინა. ორატორმა დამსწრეთ ამცნო გალის რაიონში ბოლო დღეებში მომხდარი ტერორისტული აქტის შესახებ. წამებით მოკლეს ორგანიზებული წესით დაბრუნებული ორი ლტოლვილი, რის შემდეგაც 26-მა შეშინებულმა ოჯახმა ენგურის აქეთა მხარეს მიაშურა.

## ■ რკინიგზას ვერ გადმოაქვს პური, სამაგიეროდ გადააქვს ჯართი.

**ლევან მამალაძემ** ხაზი გაუსვა, რომ რეკეტის არცერთი შემთხვევა არ გახსნილა ქვემო ქართლის რეგიონში. კვლავ განუკითხაობაა საავტომობილო ტრასებზე და რკინიგზაზე. მაგალითად, დეკემბერში რუსთავიდან უკანონოდ გავიდა 36 ვაგონი ჯართი. ვაგონები დააკავეს, მაგრამ რამოდენიმე დღის შემდეგ ისინი მაინც გაუშვეს ერთ-ერთი პორტის გზას.

ამ ინფორმაციით აღშფოთებულმა სახელმწიფოს მეთაურმა აღნიშნა, ყოვლად წარმოუდგენელია, როგორ ახერხებს რკინიგზა ჯართის და სხვა ტვირთების ტრანსპორტირებას მაშინ, როდესაც რეგულარულად ვერ ახერხებს პურის შემოტანას. ესე იგი, ყველაფერი ქრთამის მიცემაზეა დამოკიდებული და ვერ დავიჯერებ, რომ სადგურის უფროსი ამ ქრთამს ხელმძღვანელობისგან დაუკითხავად იღებსო, დასძინა ედუარდ შევარდნაძემ. შემდეგ კი მთელი კატეგორიულობით მოითხოვა, თუ რემი ვაშაკიძე ვერ ასრულებს მოვალეობას, უნდა გავათავისუფლოთ თანამდებობიდანო.

გურიაში შსს-ს წარმომადგენელი **გენო გიორგაძე** შეეხო ოზურგეთის, ლანჩხუთის და ჩოხატაურის რაიონებში შექმნილ მძიმე კრიმინოგენულ ვითარებას, რის დასტურადაც ისიც კმარა, რომ მარტო ოზურგეთის რაიონში წლის განმავლობაში დაიღუპა პოლიციის 16 თანამშრომელი და ამავე პერიოდში შეიცვალა 6 პოლიციის უფროსი.

## ■ რატომ დუმს საგარეჯოს პოლიცია?!

შინაგანი ჯარების სარდალმა **თორაძემ** ყურადღება გაამახვილა კახეთის რეგიონში ნავთობსახდელების ლიკვიდაციაზე. დაასახელა ციფრები — განადგურებულია 300 დანადგარი, ანუ საერთო რაოდენობის 90 პროცენტი. მან ხაზი გაუსვა იმ ფაქტსაც, რომ გამწარებული „მენავთობეები“ აშკარა მავნებლობაზე გადავიდნენ. ამ დღეებში მათ ტრაქტორით გაარღვიეს ნავთობსადენი და 250 ტ.ნავთობი მიწაზე დაიღვარა. საგარეჯოს პოლიცია და მისი უფროსი კი ამ დროს სრული გულგრილობით ადევნებენ თვალს მოვლენებს. ნავთობმხდელები შინაგანი ჯარების მოსამსახურეებს დღეში მილიონ რუბლს სთავაზობდნენ, ოღონდ „მათ მხარეს არ გაეხვიათ“. ამის შემდეგ გასაგებია, რატომ დუმს საგარეჯოს პოლიცია. ნავთობისთვის ერთმანეთს ხომ არ დავხოცავთო, ასე ამბობენ თურმე „მენავთობეები“. „დავხოცავთ!“ — ყოველგვარი ყოყმანის გარეშე განაცხადა შინაგანი ჯარების სარდალმა. მანვე პასუხი გასცა საბადრაგო სამსახურისადმი წაყენებულ პრეტენზიებსაც.

თბილისის საგზაო პოლიციის მთავარი სამმართველოს უფროსმა **ლევან კენჭაძემ** აღნიშნა, რომ მან ტელევიზიით, საჯაროდ, სამმართველოს მუშაობა უარყოფითად შეაფასა. საგზაო პოლიციას ჯერაც ვერ გადუწყვეტია, როგორ ჯობია — გააჩეროს და შეამოწმოს მანქანები ტრასაზე, თუ არ გააჩეროს. ხშირად ხდება კონფლიქტები უსაბუთო შეიარაღებულ „გამცილებლებთან“. ლევან კენჭაძემ ისიც თქვა, რომ თავად შეუძლიათ ნებისმიერი ტვირთის გაცილება და ემსახურებიან კიდეც უცხოურ საელჩოებს.

## ■ თუ იარაღით სიარული გსურს, გადაიხადე 5 მილიონი!

## ■ ამას წინათ ავსტრიაში დამნაშავე ელემენტებმა ხელახლა გადაინაწილეს გავლენის სფეროები, შემდეგ კი ალპებში დაისვენეს ერთი კვირით.

ამის შემდეგ სიტყვა გადაეცა საქართველოს პრემიერმინისტრს **ოთარ პაცაციას**, რომელმაც, პირველ რიგში, ყურადღება გაამახვილა მოსახლეობიდან გაზისა და ელექტროენერგიის გადასახადთა ამოღების აუცილებლობაზე. საქენერგოს ვალმა „საქგაზისადმი“ 80 ტრილიონ კუპონს გადააჭარბა, წარმოიდგინეთ, რა დღეშია ან ერთი, ან მეორეო, აღნიშნა პრემიერმა.

დანაშაულთა გაუხსნელობა, ო.ფაცაციას აზრით, აფრთხობს უცხოელ პარტნიორებს. იქნებ სამართალდამცავ ორგანოებს ეფიქრათ უცხოელთა საგანგებო დაცვაზე. მთავრობის თავმჯდომარემ აუწყა დარბაზს, რომ, ამას წინათ, ვენაში შეიკრიბნენ ყოფილი საბჭოთა კავშირის დამნაშავეები და ხელახლა გადაინაწილეს გავლენის სფეროები. ამ ე.წ. კონგრესს საქართველოს „დელეგაციაც“ ესწრებოდა, შემდეგ კი ალპებში მოაწყვეს ერთკვირიანი დასვენება. უცხოელი პარტნიორები თანახმა არიან დაგვეხმარონ საქართველოდან წასული დამნაშავეების დაკავებაში.

მთავრობის თავმჯდომარემ მოიტანა სტატისტიკური მონაცემი — 1991-94 წლებში დაიღუპა 382 ორგანოს თანამშრომელი. სამაგიეროდ, სამეგრელოს რეგიონში სანქცია გაცემულია 31 პირზე, დაპატიმრებულია მხოლოდ 2. დამნაშავეებმა ვითომ ჩააბარეს იარაღი, თუმცა კვლავ შეიარაღებულები დათარეშობენ. დასავლეთ საქართველოს ზოგიერთ რაიონში უკანონო ტარებაზე ნიხრიცაა დაწესებული — 2 მილიონიდან 5 მილიონამდე რუსული რუბლი. აქვე გამომსვლელი შეეხო ლითონებისა და სხვა სახის ნედლეულის უცხოეთში უკანონოდ გატანას.

მიუხედავად ყველაფრისა, გასული წელი მან დამნაშავეობასთან ბრძოლის გარდამტეხ წელიწადად მიიჩნია.

## ■ თათბირის მუშაობა შეაჯამა სახელმწიფოს მეთაურმა.

მან აღნიშნა, რომ მიუხედავად არსებული დაძაბულობისა, მაინც გამოიკვეთა ვითარების მოწესრიგების ტენდენცია, დაიხვეწა სამართალდამცავი ორგანოების სტრუქტურა, შსს, პროკურატურა და უშიშროება უნარიან სისტემებად ყალიბდებიან.

სახელმწიფოს მეთაურის გამოსვლისას მცირე ექსცესიც მოხდა. უაღრესად დაძაბულ გადატვირთულ სამუშაო რეჟიმს, როგორც ჩანს, ვერ გაუძლო გენო გიორგაძემ და შეუძლოდ შეიქმნა. დარბაზში ჩოჩქოლი ატყდა, მაგრამ ბატონი გენო დარბაზიდან გაიყვანეს და სხდომა გაგრძელდა.

სახელმწიფოს მეთაურმა 1994 წლის დასასრულს და 95 წლის დასაწყისს შეიარაღებული უკანონო ფორმირებების განიარაღების თვალსაზრისით ძალზე მნიშვნელოვანი უწოდა. მან გაიხსენა აუდიტორიას, რა მდგომარეობა იყო 7-8 თვის წინ. პირველი დარტყმა ამ ფორმირებებს თავდაცვის მინისტრმა ვარდიკო ნადიბაიძემ მიაყენა, როცა სამინისტროს სისტემაში გააერთიანა ყველა ფორმირება და გააუქმა სამხედრო პოლიცია. „ეს იყო ძალიან მძიმე სამუშაო“, — აღნიშნა ედუარდ შევარდნაძემ. ამის შემდეგ დაიწყო წესრიგის დამყარება შინაგან ჯარში და იქ მიმდინარე პროცესები მომავლის იმედს იძლევა.

მეორე დიდი დარტყმა იყო თენგიზ კიტოვანის და მისი ჯგუფის განიარაღება. ჩაიშალა წმინდა წყლის ავანტიურა, რომელიც ბევრ უბედურებას უქადდა ქვეყანას. კიტოვანმა ეს უბედურება უკვე დაატეხა თავს საქართველოს აფხაზეთში თვითნებური მოქმედებით.

მაშინ ედუარდ შევარდნაძემ, როგორც სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარემ, სამტრედიაში, ოჩამჩირეში და ლესელიძეში სამი ბანაკის მოწყობა დაგეგმა და საგანგებოდ უბრძანა კიტოვანს, რომ არცერთი სამხედრო მოსამსახურე დასახლებულ პუნქტებში არ შესულიყო.

სახელმწიფოს მეთაურის ვარაუდით, ალბათ, პარლამენტის საშუალებით შეეცდებიან გაათავისუფლებინონ კიტოვანი, მაგრამ ზედმეტი ლოიალობით დაშვებული შეცდომების გამეორებას იგი აღარ აპირებს. კიტოვანი შიმშილით იმუქრება, მაგრამ რამდენიც უნდა იშიმშილოს, სანამ ცოცხალი ვარ და სანამ პარლამენტში ვარ, იგი კანონის ფარგლებში მთელი სიმკაცრით დაისჯება, განაცხადა ედუარდ შევარდნაძემ და დასძინა, რომ ამ გადაწყვეტილებით იგი უპირისპირდება არა პარლამენტს, არამედ ებრძვის ბანდიტურ ძალებს.

ამ ავანტიურის აღკვეთის შემდეგ სახელმწიფოს მეთაურს განუმტკიცდა რწმენა ტერორიზმთან წარმატებით ბრძოლის შესაძლებლობაზე. ლოიალობას ადგილი აღარ ექნება, აღარ მოხდება ისე, როგორც ჟორულიანთან და წერეთელთან დაკავშირებით მოხდა.

ედუარდ შევარდნაძემ უსაყვედურა სასამართლოს მესვეურებს ჩიქოვანის ქუჩაზე განხორციელებული ტერორისტულ აქტთან დაკავშირებული პროცესის უსასრულოდ გაჭიმვის გამო. „ტერორიზმს უნდა ებრძოლოს ყველა, თორემ საშიში ქვეყნის სახელს ვიხვეჭთ“, — განაცხადა მან.

კიტოვანის დაჯგუფების დაპატიმრება მაფიასთან და რეკეტთან ბრძოლის პირველი ნაბიჯია. თუ ამ ბრძოლამ წარმატება არ მოგვიტანა, ყოველგვარ ეკონომიკურ წინსვლაზე საუბარი ზედმეტია. ნიჭიერი, ენერგიული ახალგაზრდები უცხოეთში გაურბიან რეკეტს. რეკეტის ხერხემალს ძირითადად შეადგენენ პრივილეგირებულ ოჯახში აღზრდილი ახალგაზრდების დაჯგუფებები. ისინი ახლა ჯარში უნდა მსახურობდნენ და ამის ნაცვლად, ვინ იცის, რამდენი ცოდვაა მათ კისერზე. „შენ, კარგად იცი, რასაც ვგულისხმობ!“ — მიმართა სახელმწიფოს მეთაურმა დემურ მიქაძეს.

ნარკომანიასთან დაკავშირებით ედუარდ შევარდნაძემ კვლავ გაიმეორა, რომ ამ მხრივ ყველა უნდა შემოწმდეს და ეს შემოწმება დაიწყოს მეთაურის აპარატიდან, თვითონ მისგან. ამაში დამამცირებელი არაფერია, რეიგანი პირველი გამოცხადდა ამგვარ შემოწმებაზეო.

რადგან შევთანხმდით, ჯართი არ გავიდეს, შევასრულოთ. მსოფლიოში არ მეგულება ხალხი, რომელიც საკუთარ ნავთობსარეწებს ანადგურებს... თორემ ისე ვებღრობით ჩვენს ქვეყანას, თითქოს სადღაც უცხო პლანეტაზე იყოს გადაკარგული — მეთაურის ეს სიტყვები მკაცრადაც ჟღერდა და სევდანარევი ინტონაციაც იგრძნობოდა.

იგი კვლავ შეეხო რკინიგზის ხელმძღვანელობის თანამდებობაზე დარჩენის საკითხს. აუცილებელ ამოცანად დასახა საავტომობილო გზებზე წესრიგის დამყარება და აღნიშნა, რომ თუ ეს პრობლემები არ გადაწყდა, ყოველგვარ ევრაზიულ დერეფანზე საუბარი ზედმეტია.

საგარეჯოს პოლიციის უფროსთან დაკავშირებით კი ითქვა, რომ თუ შინაგანი ჯარების სარდლის მიერ წაყენებული ბრალდებების 10 პროცენტი მაინც დადასტურდა, პოლიციის უფროსი და, შესაძლოა, გამგებელიც დატოვებენ თანამდებობას.

რამდენიმე დღეში ინგლისელი სპეციალისტები სუფსაზე დაიწყებენ საძიებო სამუშაოებს და გვპირდებიან, რომ ერთ წელიწადში მივიღებთ ნავთობის საგრძნობ რაოდენობას, მაგრამ იმ შემთხვევაში, თუ სარეწებსაც არ მოვსპობთ ჩვენივე ხელით.

დიდი ყურადღება დაეთმო შემოწმების საკითხებს. სპეციალური ბრძანებით შეიზღუდება მაკონტროლებელი ორგანოები, გარდა საგადასახადო ინსპექციისა. გაიზრდება ადგილობრივი ხელისუფლების და, განსაკუთრებით, გამგებლების როლი. „შემოწმების ტალღისგან თუ არ გათავისუფლდა ხალხი, ჩვენთან ბიზნესი არ ალორძინდება“, — დასძინა ედუარდ შევარდნაძემ. მისივე სიტყვით საქართველოში დაიწყო ბიუჯეტისთვის ბრძოლა.

აქვე ზოგიერთი გამგებლის გასაგონად მკაცრად ითქვა, თამაშს თავი დაანებეთო. პპირდებოდნენ, რომ მცხეთა ჩაკეტილია, კასპში ხერგილებია, გორის იქით ვერ წაველენო, თქვა სახელმწიფოს მეთაურმა, მაგრამ შემდეგ თვითონ გამგებლები უხსნიდნენ გზას კიტოვანს.

**ეს არის სახელმწიფო, ემსახურეთ სახელმწიფოს და შეასრულეთ არსებული ხელისუფლების განკარგულებები**, გაისმა გაფრთხილება.

ბოლოს, სახელმწიფოს მეთაური შეეხო ჩეჩნეთში მიმდინარე პროცესებს. „ოპერაცია დამთავრებისკენ მიდის“, — ასე შეაფასა ამ რეგიონში არსებული ვითარება ედუარდ შევარდნაძემ და კატეგორიულად გააფრთხილა ძალოვანი სტრუქტურები, რომ მოსალოდნელი იქნება საქართველოში, განსაკუთრებით კახეთის რეგიონში, დიდი რაოდენობით შეიარაღებული ადამიანების შემოსვლა. „ფხიზლად იყავით, თორემ შეიძლება დიდ უსიამოვნებებს წავაწყდეთ“, — თქვა სახელმწიფოს მეთაურმა. იქვე აღნიშნა ის ფაქტიც, რომ ბოლო გამოსვლებში წამყვანი ქვეყნების ლიდერებმა დააფიქსირეს პოზიცია, რომელსაც საქართველო ჩეჩნეთის კონფლიქტის დასაწყისიდან აცხადებდა — რუსეთის დაშლა დიდ უბედურებებს მოუტანს მთელ მსოფლიოს. ამასთან, ედუარდ შევარდნაძემ მწუხარება გამოთქვა მეზობელ რეგიონში დატრიალებული ტრაგიკული მოვლენების გამო.

თათბირის დასასრულს სახელმწიფოს მეთაური დაჰპირდა მის მონაწილეებს, რომ მათ მიერ დასმული საკითხების თაობაზე უახლოეს მომავალში გამოქვეყნდება ბრძანებულებები და განკარგულებები.

პაატა ვეშაპიძე

განათლება

# „ჩვენს სფეროშიც პასუხისმგებლობის ძალიან დიდი დეფიციტია“

## გვესაუბრება საქართველოს პედაგოგთა კვალიფიკაციის ამაღლების და გადამზადების ინსტიტუტის რექტორი გია მურღულია



**— ბატონო გია, მოგეხსენებათ, განათლების სისტემაში უამრავი პრობლემაა. სკოლა, ფაქტობრივად, აღარ ფუნქციონირებს. ყოველ შემთხვევაში, ძნელია, ამ პროცესს საგანმანათლებლო პროცესი ეწოდოს. თქვენ როგორ შეაფასებდით დღევანდელ ვითარებას?**

— არსებული ვითარება პირდაპირ შეიძლება შეფასდეს როგორც კატასტროფული. იმას, რაც დღეს სკოლაში ხდება, საგანმანათლებლო და, მითუმეტეს, საალმზრდელო პროცესს ვერ ვუწოდებთ. ეს პირდაპირი შედეგია იმისა, რასაც განათლების სისტემა და მისი მესვეურები აკეთებდნენ უკანასკნელი წლების განმავლობაში. არ ვგულისხმობ მხოლოდ ბოლო 5 წელს, სულ ცოტა, ორ ამდენს მაინც. დღევანდელი ვითარება განათლების სისტემაში იმის შედეგია, რომ არ არსებობს სახელმწიფო საგანმანათლებლო პოლიტიკა. არ არსებობს სახელმწიფო დაკვეთა ცოდნაზე, უფრო მეტიც, საზოგადოებრივი დაკვეთაც თითქმის არ არსებობს. გამოკვეთილი არ არის, რა ამოცანებს უსახავს სახელმწიფო განათლების სისტემას, რა მიზნების მისაღწევად ვზრდით ყმაწვილებს და როგორ გვაქვს წარმოდგენილი საქართველოს მოქალაქის სახე. საგანგებოდ უნდა აღინიშნოს ისიც, რომ არ არსებობს განათლების კანონი. შექმნილია რამდენიმე კანონპროექტი, მაგრამ ვერაფრით მოხერხდა შეჯერება და პარლამენტის სხდომაზე გამოტანა. პარლამენტი ლამის ამთავრებს თავის მოღვაწეობას და განათლებაზე სიტყვა არ დაუძრავს. ჩვენ ჯერჯერობით ძველი, საბჭოთა ნორმატიული აქტებით ვხელმძღვანელობთ და ვისაც როგორ უნდა, ისეთ ინტერპრეტაციას აკეთებს ამ აქტებისას. აქედან გამომდინარე, ზოგჯერ კურიოზულ გადაწყვეტილებებსაც იღებენ ხოლმე ყველაზე მაღალ დონეზე. მხედველობაში მაქვს თუნდაც ორასზე მეტი კომერციული უმაღლესი სასწავლებლის გახსნა. უკანასკნელ ხანს ბევრს საუბრობენ განათლების რეფორმაზე და ძირითადად მხედველობაში აქვთ ხოლმე ფორმალური, გნებავთ, სტრუქტურული ცვლილებები. რაც შეეხება შინაარსობრივ ცვლილებებს, ეს განზე რჩება. იგნორირებულია და, ძალზე ხშირად, გაუცნობიერებელიც, სწავლების თანამედროვე ტექნოლოგიები. დღევანდელ მსოფლიოში უამრავი ახალი ტექნოლოგია, უამრავი ახალი პედაგოგიური მიდგომა გამომუშავდა — არავინ ზრუნავს მათი გაცნობისთვის. ჩვენი განათლების სისტემა თუ სწავლების განახლების გენერალურ ხაზს ჩამორჩა, შეიძლება, განათლების სისტემა სრულიად დაგვემშვიდობოს. ისიც სათქმელია, რომ მატერიალური ბაზა თითქმის მთლიანად გაიძარცვა და გაპარტახდა. განათლების სისტემაში ძალიან ძნელად მკვიდრდება ან სულაც ვერ მკვიდრდება მართვისა და კონტროლის თანამედროვე პრინციპები. უმწვავესად დგას საკადრო უზრუნველყოფის საკითხი, როგორც ზედა, ისე საშუალო და ქვედა რგოლებში და, ალბათ, ზღვარსაც გადასცდა განათლების მუშაკთა სოციალური დაუცველობა. ამის ფონზე გასაკვირი არ არის ის, რასაც დღეს ვჭერეტთ საზოგადოებაში — ძალადობას, იდეალების არარსებობას. თუ რაიმეს მიღწევა გვინდა, უწინარეს ყოვლისა, უნდა ვიღვაწოთ იმისთვის, რომ განათლება რეალურ ღირებულებად იქცეს და, აქედან გამომდინარე, განათლებული კაცის ცხოვრების წესი იქცეს ლტოლვის ობიექტად საზოგადოებაში.

**— მინდა რიგითი მასწავლებლის პოზიციიდან გითხრათ ერთი რამ. ასე თუ გაგრძელდა, შორს არ არის ის დრო, როცა ბავშვი სკოლაში აღარ მივა და თუ მივა, იქ მასწავლებელი აღარ დახვდება. ყველა პირობაა ამისთვის შექმნილი. მოგეხსენებათ, ცხოვრება აძევებს საუკეთესო მასწავლებლებს სკოლებიდან. დიდი აპათია შეიგრძნობა პედაგოგიკაში. მათ აღარაფრის იმედი აღარ აქვთ. როგორ შეიძლება გამოვიდეთ ამ მდგომარეობიდან?**

— მოხარული ვიქნებოდი, რომ ეს ყველაფერი მხოლოდ საშიშროებად გვეელინებოდეს და არა რეალურ ფაქტად. ახლა რაც შეეხება საშველს. რასაც ახლა მოგახსენებთ, ერთი კაცის აზრი არ არის. ბუნებრივია, არ მექნებოდა პრეტენზია, რომ სრულად მომეაზრებინა საკითხთა ასეთი დიდი სპექტრი. ჩვენმა საზოგადოებრივმა მოძრაობამ „განათლება XXI“-მ, დიდი ხანია, ამაზე იფიქრა, თავისი კონკრეტული წინადადებები წამოაყენა და ჩამოაყალიბა ცალკე დოკუმენტად, რომელიც, ალბათ, განხილვის საგნად იქცევა. ამ დოკუმენტის შედგენაში მონაწილეობა მიიღეს როგორც „განათლება XXI“-ს, ისე საზოგადოებრივი მოძრაობა — „ერთობა და კეთილდღეობის“ და მოქალაქეთა კავშირის განათლების კომისიის წარმომადგენლებმა.

1993 წლის ზაფხულში მოხდა განათლების მუშაკთა შეხვედრა სახელმწიფოს მეთაურთან. ამ შეხვედრაზე სახელმწიფოს მეთაურმა განათლების სისტემის მესვეურებს დაავალა, შეექმნათ განათლების სისტემის კრიზისიდან გამოყვანის გეგმა ერთი თვის ვადაში. როგორც ჩანს, ერთი თვის ვადაში ეს ვერ მოხერხდა, აქ იმის განსჯაში არ შევალ, რატომ და როგორ, უბრალოდ, ფაქტებს მოგახსენებთ. დაახლოებით ნახევარი წლის შემდეგ, 1994 წ. 14 იანვარს გამოიცა განათლების მინისტრის ბრძანება განათლების დარგში განსახორციელებელ გადაუდებელ ღონისძიებათა შესახებ. პირდაპირ მინდა მოგახსენოთ და ეს არაერთხელ განმიცხადებია სხვადასხვა დონეზე, რომ ამ ბრძანებაში ჩამოყალიბებული წინადადებები თუ გადაწყვეტილებები არ შესრულდა. უკვე 1 წელი გავიდა, ცოტა მეტიც, ამ დოკუმენტის მიღებიდან. უძირითადეს მიმართულებებზე მოგახსენებთ:

საქართველოს უწყვეტი განათლების კონცეფციის საბოლოო პროექტის შემუშავება და კოლეგიაზე მისი განხილვა — შესრულების ვადა 1994 წ. 10 თებერვლამდე — არ შესრულებულა.

განათლების კონცეფციის შესაბამისი უზრუნველყოფის სახელმწიფო პროექტის შედგენა და მინისტრთა კაბინეტში წარდგენა — ვადა 1994 წ. 15 თებერვლამდე — არ შესრულებულა.

საქართველოს განათლების კანონპროექტის განხილვა, წინადადების შეტანა პარლამენტში — აქ ალაფერდი ჭარლამენტთანაც არის — არ შესრულებულა.

სასწავლო დაწესებულებებში სწავლებისა და აღზრდის პროგრამის, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების, პროფესიულ-ტექნიკური, საშუალო-სპეციალური სასწავლებლების სასწავლო გეგმების შედგენა — სანახევროდაც არ შესრულებულა.

ზოგადსაგანმანათლებლო საგნებში სახელმწიფო სტანდარტების შემუშავება — შესრულების ვადა 1994 წ. 10 მაისამდე — არ შესრულებულა. აქვე მოგახსენებთ, რომ იქ, სადაც არ არსებობს განათლების სახელმწიფო სტანდარტები, არანაირი სისტემა არ არსებობს განათლებისა. ამაზე ვრცელი საუბარი გემართება, მაგრამ ახლა არ გვაქვს ამის დრო და საშუალება.

ახლა ამ დოკუმენტს დავანებოთ თავი, თუმცა, კაცმა რომ თქვას, ძნელი დასანებებელია. ფაქტი ერთია, რაღაც უნდა შესრულებულიყო — გარკვეული დრო იყო დაწესებული, გარკვეული პასუხისმგებელი პირები იყვნენ გამოყოფილნი. კიდევ ერთხელ ხაზი მინდა გავუსვა, რომ ჩვენს სფეროშიც პასუხისმგებლობის ძალიან დიდი დეფიციტია. საქმე უნდა გაკეთებულიყო, არ გაკეთდა, პასუხს არავინ აგებს.

კიდევ რამდენიმე მომენტს მინდა შევეხო. უმნიშვნელოვანესი ძვრები მიდის ქუთაისში. ის, რასაც ბატონი თემურ შაშიაშვილი აკეთებს, მისაბაძია ნებისმიერი ხელმძღვანელისთვის. არ ჩამოვთვლი ყველაფერს, მხოლოდ ერთ ფაქტს მოგახსენებთ: 1995 წლის ბიუჯეტში ქალაქის მერიამ განათლების სისტემისთვის გამოყო 25 პროცენტი. მაშინ, როცა რესპუბლიკურ ბიუჯეტში გათვალისწინებულია 3 პროცენტამდე. ქუთაისის მერმა საქმით დაამტკიცა, რომ მას განათლება მიაჩნია პრიორიტეტულად გასავითარებელ დარგად. ქუთაისის მერია ყველანაირად უზრუნველყოფს განათლების სისტემაში გასატარებელ რეფორმას და, უნდა ითქვას, რომ განათლების სამინისტრო, ჩვენ ყველა, ვალში ვართ ქუთაისლებთან. რეფორმა ერთი წელიწადია დაიწყო და განათლების სამინისტროს კოლეგიას არ მოუსმენია, რა შედეგებით დამთავრდა ეს ერთი წელიწადი. უფრო მეტიც, ალბათ, თავიდანვე უნდა ყველაფერი აწონილ-დაწონილიყო განათლების სამინისტროში და ისე დაწყებულიყო ეს რეფორმა. ამ შემთხვევაში, იქნებ, რამდენიმე უნებლიე შეცდომისთვის თავი აგვერიდებინა.

მინდა დანარჩენ მომენტებსაც შევეხო იმის თაობაზე, რაც ჩვენ გვჭირს. მაგალითად, საღამოს სკოლებში შექმნილ ვითარებას პირდაპირ ვუწოდებდი კატასტროფულს. საღამოს სკოლების ის დებულება, რომელიც მიიღო განათლების სისტემამ, არის განათლების ელემენტარული პროფანაცია. ვგულისხმობ იმას, როცა ბავშვს შეუძლია, რომ საღამოს სკოლაში გადავიდეს დღის სკოლიდან, იქ ოფიციალურად იაროს კვირაში ერთი დღე (ზოგჯერ იმ ერთ დღესაც არ დადიან ბავშვები) და მიიღოს ატესტატი. საზოგადოებრივი აზრი ძლიერ იხრება იქით, რომ აქ დიდი კორუფციაც არსებობს.

ასევე უნდა ითქვას განათლების მუშაკთა ატესტაციის საკითხის შესახებაც. ატესტაცია, რომელიც ადრე ჩატარდა, ფორმალური და მიუღებელი იყო. ჩვენ ვიზრუნეთ იმისთვის, რომ გარკვეული ნაბიჯები გადადგმულიყო ახალი მოდელის შესაქმნელად.

არ არის გაანალიზებული სახელმძღვანელოების დარგში შექმნილი ვითარება. სად არის სახელმძღვანელოები, რომელთა გამოყენება ამჟამად შეიძლება. სად არის ისეთი სახელმძღვანელოები, რომელთა გამოყენება შეიძლება დახვეწის შემდეგ. სად გვაქვს ისეთი სახელმძღვანელოები, რომელთა გამოყენება საერთოდ არ შეიძლება და ა.შ.

ბევრი სხვა რამ არის კიდევ გასაკეთებელი. ახლა კონკრეტული პასუხი თქვენს შეკითხვაზე — რა შეიძლება ამას ეშველოს? უნდა ჩამოყალიბდეს კონკრეტული პროგრამა, უნდა დაითქვას შესაბამისი ვადები, უნდა გამოიყოს ცალკეული პირები, რომლებიც პასუხისმგებლები იქნებიან კონკრეტული პროექტების განხორციელებისთვის. საზოგადოებამ უნდა იცოდეს, რა კეთდება განათლების სისტემის კოლაფსიდან გამოსაყვანად, ვინ აკეთებს ამას, რა პასუხისმგებლობა ეკისრია და უსათუოდ უნდა მოიკითხოს რეალური შედეგები. საზოგადოებაც უნდა ხედავდეს, რა კეთდება და ყოველ კონკრეტულ ეტაპზე რა შედეგებს ვაღწევთ.

ვერ დავეთანხმებით იმ აზრს, რომ განათლების სისტემა მთლიანად გამოვიდეს სახელმწიფო კონტროლიდან და სახელმწიფო დაფინანსების სისტემიდან. თუკი სახელმწიფო ვერ ფლობს სიტუაციას განათლების სისტემაში, ამ სტრატეგიული მნიშვნელობის სისტემაში, ისე სახელმწიფო პოლიტიკა წარმატებით ვერ განხორციელდება. რასაკვირველია, ჩვენ არა ვართ ფასიანი განათლების სისტემის შემოღების და დანერგვის წინააღმდეგნი, მაგრამ პირდაპირ და ერთმნიშვნელოვნად უნდა ითქვას, რომ სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს ყველა განათლების მიღების მსურველი — მხედველობაში მაქვს საშუალო განათლება და არა უმაღლესი.

განათლების სისტემის საფინანსო-ეკონომიკური უზრუნველყოფის მიზნით, გვაქვს შემდეგი წინადადებები:

1. განათლების დარგში დაბანდებული კაპიტალის შეღავათიანი დაბეგვრა. სახელმწიფო-სასწავლო დაწესებულებების სასწავლო ქირით მოზიდული თანხების ბეგარისგან გათავისუფლება;

2. საინვესტიციო ფონდ „განათლების“ შექმნა. რას ნიშნავს ეს. რუსეთის მაგალითმა დაგვანახა, რომ განათლების გარდა კულტურის სფეროს მუშაკების ვაუჩერებს არანაირი კონკურენტუნარიანობა არ აღმოაჩნდათ. სხვა ყველა ვაუჩერი კონკურენტუნარიანი გახდა იმიტომ, რომ მოხდა მათი კონცენტრაცია ამა თუ იმ პრინციპით — ვთქვათ, საწარმოს ან სააქციო საზოგადოების პრინციპით. ხოლო კულტურის და განათლების მუშაკი დარჩა ეული ამ ორგანიზებული კაპიტალის წინაშე. ამიტომ, აუცილებელია, განათლების სფეროს მუშაკთა ვაუჩერების კონცენტრაცია მოხდეს მათი კონკურენტუნარიანობის ასამაღლებლად.

3. აუცილებლად გვესახება განათლების ბანკის დაფუძნება, ვთქვათ, განათლების სამინისტროსთან და განათლების დარგთან დაკავშირებული ყველა საბანკო ოპერაციის ამ ბანკში კონცენტრირება. ეს სადისკუსიო საკითხია, მაგრამ ამ დისკუსიისთვის მზად ვართ.

5. იმ პირობებში, როცა სახელმწიფო რიგიანად ვერ უზრუნველყოფს განათლების სისტემის დაფინანსებას, აუცილებლად გვესახება საზოგადოებამ თავის თავზე აიღოს ამ ტვირთის ნაწილი.

6. მიზანშეწონილად გვესახება, რომ ფიქსირებული პროცენტი, თუნდაც ერთი პროცენტი, ხელფასებიდან გადარიცხულ იქნას განათლების ფონდში. სხვათა შორის, ქუთაისში ეს უკვე გაკეთდა.

7. ჩვენ გვსურს ტელემარათონის ჩატარება განათლების სისტემის სასარგებლოდ. იმედია, ჩვენს ქვეყანაში არ დალეულან ის ადამიანები, რომლებიც გარკვეულ სახსრებს გაიღებენ საიმისოდ, რომ მათი შვილების განათლება უზრუნველყოფილი იქნას.

თუ ეს ტელემარათონი ჩატარდა, საჭიროა, შეიქმნას სპეციალური ფონდი, რომელიც შემდეგ თავად გაანაწილებს ამ თანხებს, დააფინანსებს გარკვეულ სტრატეგიულ მიმართულებებს განათლების სისტემაში — ვთქვათ, საატესტაციო ტესტების და რამდენიმე სახელმძღვანელოს შექმნას მაინც და ა.შ.

8. აუცილებელია, დაწესდეს თვისებრივი განსხვავება სხვადასხვა კატეგორიის პედაგოგთა ხელფასებში. იმის გამო, რომ მოხდეს პედაგოგთა მატერიალური სტიმულირება.

ძალიან მისასალმებლად მიგვაჩნია, რომ ქალაქ ქუთაისის მერიამ მიიღო შემდეგი გადაწყვეტილებები:

პრივატიზაციის შედეგად შემოსული თანხების ათი პროცენტი გადაეცა განათლების სისტემას; ყველა ტიპის კომერციული და ფასიანი სასწავლებლებიდან შემოსული გადასახადები გადაეცა განათლების სისტემას; საგადასახადო ინსპექციის სანქციებით ამოღებული თანხების 50 პროცენტი (დაუჯერებელი პროცენტია!) უნდა გადაეცეს განათლების სისტემას. ქალაქში არ უნდა დარჩეს ორგანიზაცია, დაწყებული პატარა ფარდულით და დამთავრებული საავტომობილო ქარხნით, რომელიც არ აიღებს ვალდებულებას, დახმარება გაუწიოს სასწავლო დაწესებულებებს.

თეზისების სახით მოგახსენებთ, კიდევ რა უნდა გაკეთდეს. აუცილებელია აღზრდის სახელმწიფო დოქტრინისა და შესაბამისი კონცეფციის შემუშავება. ეს არის გადაუდებელი ამოცანა, რომელზეც უნდა ვიფიქროთ და გადავწყვიტოთ ძალიან სწრაფად. აუცილებელია ახალი სასწავლო გეგმების და პროგრამების შექმნა. გარდუვალი აუცილებლობაა სახელმწიფო სტანდარტების შექმნა. აუცილებელია შეიქმნას შემოქმედებითი ჯგუფები, რომლებიც მოამზადებენ სახელმძღვანელოებს პროფილური კლასებისთვის. აუცილებელია დამხმარე ლიტერატურის, თვალსაჩინოების, კომპიუტერული და ვიდეოგაკვეთილების მომზადება. მასწავლებლისა და მოსწავლის ბიბლიოთეკის სერიების განახლება და შევსება. თვისებრივად ახლებურად უნდა აიგოს თანამედროვე მასწავლებლის მომზადების პროცესი. უნდა შემუშავდეს კლასიკური და თანამედროვე პედაგოგიური სისტემებისა და ტექნოლოგიების ვრცელი ანოტაციები. უნდა შეიქმნას თვისებრივად ახალი კურსები პედაგოგთა კვალიფიკაციის ამაღლებისა და გადამზადებისთვის.

მასწავლებლების კვალიფიკაციის ამაღლება და გადამზადება არის თვისებრივად ახალი ამოცანა. მაგალითისთვის მოგახსენებთ, დღეს უკვე გამზადებულია ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია, რაც არის სრულიად ახალი სიტყვა სახელმძღვანელოების დარგში. ჩვენი მასწავლებლების 90 პროცენტი (ამას კატეგორიულად ვაცხადებ!) მზად არ არის, რომ ეს ქრესტომათია გამოიყენოს. მათი სპეციალური მომზადებაა საჭირო, რომ ამ წიგნმა სკოლაში იმუშაოს. ასევე საჭიროა იმ მასწავლებლების სპეციალური მომზადება, რომლებიც სკოლაში რელიგიასა და კულტურას ასწავლიან. ამერიკელი სპეციალისტები პირდაპირ ამბობენ და მათ აზრს მთელი დასავლეთი იზიარებს — პიროვნებამ პროფესიული მომზადების დონე რომ შეინარჩუნოს, თავისი პროფესიული კარიერის განმავლობაში, სულ ცოტა, რვაჯერ მაინც უნდა აიმაღლოს კვალიფიკაცია. მათთვის კვალიფიკაციის ამაღლება უფრო მნიშვნელოვანიც კია, ვიდრე საწყისი განათლება.

ამჟამად პედაგოგიურ აზრს ძინავს საქართველოში და ერთგვარ კურიოზადაც მეჩვენება ჩვენთან პედაგოგიური აკადემიის დაარსების სურვილი. სანამ პედაგოგიური აკადემიის დაარსებას დავაპირებთ, მანამდე იმაზე უნდა ვიფიქროთ, რომ პედაგოგიური მეცნიერება გამოცოცხლდეს მაინც.

ყველაფერს, რაც ჩამოვთვალეთ, თავისი ვრცელი დასაბუთებაც აქვს და, ვფიქრობთ, ლოგიკური დასაბუთებაც. მინდა დაბეჯითებით ვთქვა, რომ ეს ყველაფერი ძალზე ზუსტად გათვლილი, დასაბუთებული და ჩამოყალიბებულია მოქმედების კონკრეტულ პროგრამად და სწორედ თქვენს გაზეთს მივმართეთ თხოვნით, რომ გამოქვეყნებულიყო განცხადება იმის შესახებ, რომ ა.წ. 10 თებერვალს ჩვენ ვიწვევთ ყველა დაინტერესებულ პირს ჩვენთან, პედაგოგთა კვალიფიკაციის ამაღლების და გადამზადების ინსტიტუტში შეხვედრაზე, სადაც ვისაუბრებთ ყველა კონკრეტულ ნიუანსზე.

ესაუბრა
ია ანთაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

კინო — 100

ფელინი. შეუძლებელია ამ მაგიური ბგერების გაგონებამ ხილვის გარეშე ჩაიაროს. იგი მაყურებელს იპყრობს და ცრემლნარევი ღიმილითა თუ ხმამაღალი სიცილით რაღაცაზე მიგვითითებს, ზოგჯერ ნაცნობზე და ახლობელზე, ზოგჯერ კი სრულიად გაუგებარ, რაღაც იდუმალ მისტერიაზე. ამ ბგერების გაგონება ხშირდა იმასაც გვავიწყებს, რომ ადამიანი, ვისაც ეს გვარი ეკუთვნის, თითქმის ორი წელია ცოცხალი აღარ არის. დღეს ფედერიკო ფელინის 75 წელი შეუსრულდებოდა.

ეს ინტერვიუ ოთხმოციან წლებშია ჩაწერილი რომის ექსპერიმენტული კინოცენტრის პრეზიდენტ ჯოვანი გრაცინისთან საუბრისას. „ინტერვიუ კინოზე", ასე ქვია წიგნ-დიალოგს, ნაწყვეტებს საიდანაც მკითხველს ვთავაზობთ.



ფედერიკო ფელინი

# «კინო ღვთაებრივი საშუალებაა ღმერთთან სააექროდ»

**— დავიწყოთ 1920 წლის 20 იანვრიდან, დღიდან, როცა დაიბადე, თხის რქის ნიშნის ქვეშ. ასტროლოგიის თუ გჯერა?**

— მე მომწონს ყველაფერი, რაც ფანტაზიას აღვივებს და მეხმარება სამყარო უფრო მომხიბლავად აღვიქვა. ასტროლოგია ფრიად შთამბეჭდავი და თავშესაქცევი მცდელობაა საგნების არსში წვდომისა. სიმართლე რომ ითქვას ჩვენი ოცნებები ისეთივეა, როგორც სამი ოთხი ათასი წლის წინანადელ ადამიანს ჰქონდა, ცხოვრების შიში ახლაც გვთრგუნავს. მიყვარს შიში, იგი ტკბილი გრძნობაა, რომელიც ნაზ სიამოვნებას გვანიჭებს და აუცილებელია ცხოვრების სისავსის შესაგრძნობად, მისგან განთავისუფლების მცდელობა კი სისულელეა და სარისკო. ამის გამო, გიმნაზიაში სწავლისას ანტიპატიით ვიყავი განწყობილი აქილევსისადმი. თუმცა ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ მსურს გავიგო ვის შევხვდები სადილის შემდეგ და არც მონეტას ვაგდებ იმის გასაგებად თუ რომელი ჰალსტუხი გავიკეთო დილით. ყველაფერი ის, რაც არ ვიცი საშუალებას მაძლევს თავი კარგად ვიგრძნო. ვფიქრობ სწორედ ეს განაპირობებს ქცევის თავისებურებას: ზოგჯერ რაღაც არაჩვეულებრივს ველი, უხილავს, ჯადოსნურს, ორიგინალურს. ამიტომ ხან ასტროლოგიით ვიყავი გატაცებული, ხან ოკულტიზმით, ხანაც სპირიტიზმით. „ჯულიეტა და სულების" გადაღებისას მედიუმებთან და ექსტრასენსებთანაც კი დავდიოდი... მერწმუნე, მეც მომსვლია გაუგებარი შემთხვევები. ბავშვობაში მქონდა პერიოდი, როცა უეცრად ფერებს ვხედავდი, რომლებიც გარკვეულ ბგერებს შეესაბამებოდნენ. მაგალითად, ბებიას ბოსელში ხარი ბლავის, მე კი ამ დროს ჰაერში გამოკიდულ უზარმაზარ წითელ ხალიჩას ვხედავ, რომელიც წვრილ ზოლად ყურში მიძვრება.

**— რამდენად გრძნობ თავს რომანიელად?**

— მე ხომ რომანიელი მხოლოდ სანახევროდ ვარ, დედა კი რომიდანაა. ერთმა ჩემმა ბიძაშვილმა, რომელიც გენეალოგიითაა გატაცებული, აღმოაჩინა, რომ პირველი ცნობა ბარბიანების შესახებ (ეს დედაჩემის გვარია) 1400 წელს ეკუთვნის და რომ ერთ-ერთი ბარბიანი რომის პაპ მარტინ V-ის კარზე აფთიაქარი იყო. შემდეგ მოწამვლა დასწამეს და ოცდაათი წელი გაატარებინეს ციხეში, სადაც ვირთხებს და ობობებს წვრთნიდა. ვინ იცის, იქნებ რეჟისორობისკენ ჩემი მიდრეკილება ამ შორეული წინაპრიდან მოდის?

**— როგორი დამოკიდებულება გაქვს რელიგიასთან?**

— არ მინდა თავი დავაღწიო ამ კითხვას მხოლოდ ჩვეული ისტორიების მოყოლით იმ შიშზე, ბავშვობაში რომ იწვევდა ჩემში, სალეზიანელთა მონასტრის გაყინული დერეფნები, ერთი პატარა წითელი ნათურით განათებული უზარმაზარი ოთახები, რომელთა შესასვლელებიც უფრო ქვესკნელის კარიბჭეს ჰგავდა. თუ ამის შესახებ მოვყვები საუბარს, ალბათ, ვერავინ გამაჩერებს იმიტომ, რომ ძალიან მიყვარს ეს ატმოსფერო — მრისხანე, შიშის მომგვრელი, ზოგჯერ კი შემაძრწუნებელიც. მართალია, რელიგია ერთი მხრივ ათავისუფლებს ადამიანს შიშისგან, მაგრამ მეორე მხრივ იგი მისი წყაროა.

ყველა ცივილიზაციის მითები ღმერთების წინაშე შიშზე მოგვითხრობს. იმიტომ, რომ ისინი უხილავნი არიან. სრულიად ბუნებრივია, რომ ყველაფერი უცნობი შიშის ზარს გვცემს, ვთვლი, რომ მეც, გარკვეულწილად რელიგიური ადამიანი ვარ, რადგან სამყარო საიდუმლოებით მოცული მეჩვენება და ავშვობიდან მოყოლებული, რომც არ მქონოდა ეს მისტიური გრძნობა (რომელიც მთელ ჩვენს არსებობაზე ვრცელდება და ყველაფერს შეუცნობადს ხდის), ხელოვნებით, რომლითაც დაკავებული ვარ, მაინც მივიდოდი რელიგიურობამდე. მე ვხედავ სიზმარს ან ფანტაზიას ვძლევი და ვიწყებ რაღაცრაღაცეების წარმოდგენას. შემდეგ ხელს მოვაწერ კონტრაქტს, ვიშოვი ცოტაოდენ მასალას დეკორაციისთვის, ერთი-ორ კარგ გოგონას, რამდენიმე იუპიტერს და აჩრდილის მატერიალიზებასაც ვახერხებ. უკვე ყველას შეუძლია მისი დანახვა ისევე, როგორც ოდესღაც მე მომევლინა თვლემისას ან უბრალოდ, როცა უსაქმოდ ვიჯექი.

მხოლოდ შენში დავანებული ვიღაც ბრძენი უცნობის რწმენა თუ შეეწევა ამ საიდუმლო ოპერაციას, რომელიც თავის თავზე იღებს შენს სამუშაოს. ამ რწმენას შეიძლება რელიგიური გრძნობა დავარქვათ. ქედმაღლობა, ერუდიცია, ეგოიზმი, ყველაფრის გაგების სურვილი ძალზე ხშირად ბოჭავს ასეთ რწმენას, აღუნებს და აქრობს მას, ეს კი ყოველთვის აუარესებს მხატვრულ შედეგს.

**— როგორ ლოცულობ?**

— ვატყობ, კითხვები თანდათან სადღესასწაულო და ცოტა არ იყოს ინკვიზიტორულ ხასიათს იძენს. ყოველ შემთხვევაში შევეცდები გიპასუხო.

მე მგონი ჩურჩულით ყველა შევედრებია უფალს რაღაცის ახდენას ან საქმის კეთილად დაგვირგვინებას, მაგრამ ეს, ალბათ, ლოცვა არაა. რაღაც ლოცვის მსგავსი, ან სულაც ლოცვის ჩემი მანერა, როგორც ვფიქრობ შემდეგში მდგომარეობს: უკიდურესად რთულ სიტუაციებში, საიდანაც გამოსავალი არ ჩანს, ყველაფერზე ხელს ვიღებ ხოლმე და თავს ვანებებ ტვინის ჭყლეტას. თითქოს საქმე ვიღაც სხვა ეხებოდეს. „მიდით და იმტვრიეთ თავები — ვამბობ მე — უარს ვაცხადებ გამოსავლის ძებნაზე". ჩვეულებრივ საკითხი თავისით წყდება ხოლმე.

**— ფანტაზიის თამაში, შემოქმედების მაგია... შენს ლტოლვაში, სრულყოფილების მისაღწევად საკმაოდაა მისტიური ელემენტები.**

— კინო ღვთაებრივი საშუალებაა ცხოვრების დასახატად, ღმერთთან სააექროდ. არანაირი სხვა ხელობა არ გვაძლევს საშუალებას შევქმნათ რაღაც სამყარო, რომელიც ასერიგად დაემსგავსებოდა ნაცნობ ან თუნდაც მიღმა სამყაროებს. ჩემთვის, რაზეც არაერთხელ მითქვამს, იდეალური ადგილია „ჩინეჩიტას" მეხუთე პავილიონი, როცა ის ცარიელია. ხედავდე შენს წინ სივრცეს, რომელიც უნდა შეავსო, თუნდა შექმნა, ესაა ყოვლის შთამთქმელი ემოცია, რომელიც ექსტაზს იწვევს. შიშველი კედლების უბადრუკ იერს ჯანზე მოვყავარ და თავს შემოქმედად წარმოვიდგენ, ყველა ადამიანისა თუ საგნის ფოტოგრაფირების სურვილი მიჩნდება ხოლმე.

მე არ ვეკუთვნი არც ერთ სტილს, მომწონს ყველა ჟანრი, ჩემი სამუშაო ძალიან მიყვარს და ვფიქრობ სხვა ყველაფერი — ადამიანებთან ურთიერთობა, სეზონური გრძნობები, დროებითი კავშირები — ამ ერთ სახდელ ქვებში იყრის თავს. სიყვარულის ყველაზე მაღალი წერტილი და შემოქმედებითი დაძაბულობის კულმინაცია ერთი და იგივეა. იდუმალი წამები, განუწყვეტელი ილუზია, იმედი იმისა, რომ ოდესმე აღსრულდება აღთქმული დიდი აღმოჩენა და იხილავ ცეცხლოვანი ასოებით დაწერილ ეპისტოლეს.

**— რას ფიქრობ სამყაროზე, რომელშიც ვცხოვრობთ?**

— ინფანტილურობა ჩემი სისუსტეა, ვთვლი, რომ არ ვარ დაჯილდოებული არც აბსტრაქტული აზროვნების უნარით, არც განსაკუთრებული ინტუიციით. მას, ვისაც ჩემსავით არ გააჩნია მეცნიერული თვალსაზრისი გარესამყაროზე და არც პროგრესს აფასებს რაციონალურად, დიდი სიამოვნებით ეძლევა ფანტაზიებს და ზოგჯერ ეჩვენება, რომ აპოკალიფსის და ნოსტრადამუსის წინასწარმეტყველებებში „დაპირებულ" გრგვინვას ამჩნევს. მიუხედავად უთავბოლო და უსუსური მსჯელობებისა, რომლებიც პროგრესის საშიშროებას ეხება, მაინც ვფიქრობ, რომ იგი შეუქცევადი პროცესია და აღფრთოვანებას იწვევს მასში, ვინც ახალ ნოეს კიდობანში რამდენიმე რჩეულთან და ზოგიერთ ცხოველთან ერთად კატასტროფის ქაოსში ცურვას ისურვებდა.

თარგმნა

მალხაზ ხარბედია

თანამედროვე ხელოვნება

# ქრისტინას ხიბლი



საქართველოში ცოტა თუ იცნობს თანამედროვე უნგრელი მხატვრის მედარდ ვარზანის შემოქმედებას. ევროპაში კი იგი დიდი პოპულარობით სარგებლობს. ცოტა რამ მის შესახებ:

მედარდ ვარზანი 1913 წელს უნგრეთის პატარა სოფელ ლევაში დაიბადა. გიმნაზიის დამთავრების შემდეგ, სწავლა ბუდაპეშტშივე, ხელოვნებათა აკადემიაში გააგრძელა. სოფელში გაზრდილი მხატვრის უდიდესი გატაცება ცხენები იყო. თავგადაკლული მხედარი ხშირად საერთაშორისო ასპარეზობებშიც იღებდა მონაწილეობას. მედარდ ვარზანის შემოქმედებაში ერთ-ერთი ძირითადი თემა სწორედ ცხენებია. იმდენად მრავალფეროვანი სურათები აქვს შექმნილი ცხენების გამოსახულებებით, იმდენად კარგად ასახავს მათ თვისებებს, მოძრაობას, რომ ამ სურათების მხილველი იოლად მიხვდება, რამდენად ახლო ურთიერთობა ჰქონია მხატვარს ცხენებთან.

თუმცა, მედარდ ვარზანი არც ქალების გამოსახვისას იჩენს ნაკლებ პროფესიონალურობას. მისი ერთ-ერთი საუკეთესო ლითოგრაფიული ქმნილება „მარიანა", ერთხმად იქნა მოწონებული კრიტიკოსების მიერ.

მედარდ ვარზანი უნგრეთში ცნობილი იყო, როგორც პრესის მხატვარი-ილუსტრატორი. მოგვიანებით, როცა მისი ნიჭი აღიარეს და დააფასეს, მისი ნახატები უნგრეთის ყველაზე თვალსაჩინო მუზეუმებმა შეიძინეს.

1956 წელს, უნგრეთის აჯანყების დროს მხატვარმა დატოვა სამშობლო და მას შემდეგ ციურიხში ცხოვრობს.

აქ წარმოდგენილი ლითოგრაფია (60X42) ოთხ ფერშია შესრულებული. ეს მხატვრის ერთ-ერთი უახლესი ნამუშევარია. ამჟამად „ქრისტინა" მიუნჰენის მუზეუმშია დაცული.

თუმცა ვარზანის თავის მთავარ გატაცებად ცხენები მიაჩნია, მაგრამ თავის მხატვრულ შესაძლებლობებს და დაკვირვებებს ქალის შიშველი სხეულის გამოსახვით განსაკუთრებით დამაჯერებლად ამტკიცებს. და, რაც მთავარია, მხატვარმა იცის, მთელი სიმშვენიერით როგორ უნდა დაგვანახოს ფიგურა, ცხენისა იქნება ეს თუ ქალის.

სწორედ ამიტომ არის შეუძლებელი გულგრილად უმზიროთ „ქრისტინას", რომელიც თავისი საოცარი ხიბლის გამო მხატვრის ერთ-ერთ საუკეთესო ქმნილებად აღიარეს.

ნათია ფანჯიკიძე


## სტომატოლოგებისა და მომავალი სტომატოლოგების საყურადღებოდ!

მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი, ახალი ტექნოლოგიების დანერგვა სტომატოლოგიაში და სტომატოლოგიურ სამყაროში უახლოეს მომავალში მოსალოდნელი მკაცრი კონკურენცია პრინციპულად მოითხოვს ექიმი-სტომატოლოგის ცოდნის უწყვეტ ამაღლებას და პროფესიულ სრულყოფას.

ფირმა „უნიდენტის" სასწავლო-პრაქტიკული ცენტრი სთავაზობს როგორც გამოცდილ, ასევე დამწყებ და მომავალ სტომატოლოგებს, შეიძინონ და შეინარჩუნონ ცოდნის თანამედროვე დონე, აითვისონ პრაქტიკული ჩვევები ახალ ტექნოლოგიებთან მუშაობისას. ზემოთ აღნიშნულს მრავალფეროვანი თემატიკის გამოყენებით ახორციელებენ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სტომატოლოგიური ფაკულტეტის წამყვანი პედაგოგები კომფორტული კლინიკური ბაზის, ფანტომების, ვიდეო და სხვა თანამედროვე თვალსაჩინოებათა გამოყენებით. იმედი გვაქვს, ჩვენს სემინარებში თქვენ ადვილად იპოვნით თქვენთვის საინტერესო საკითხებს:

| | |
|---|---|
| 1. თანამედროვე ხაბჭენი მასალები | 16 მეცადინეობა |
| 2. პრაქტიკული ენდოდონტია | 10 მეცადინეობა |
| 3. თერაპიული სტომატოლოგიის წინაკლინიკური კურსი პრაქტიკული ჩვევების ათვისებით | 30 მეცადინეობა |
| 4. ფაიფურით, მეტალოკერამიკით და მეტალოპლასტმასით კბილთპროთეზირება | 16 მეცადინეობა |
| 5. შეცდომები, გართულებები და მათი პროფილაქტიკა ორთოპედიულ სტომატოლოგიაში და სხვა. | 10 მეცადინეობა |

გარდა ჩამოთვლილი თემებისა ფირმა „უნიდენტის" სასწავლო-პრაქტიკული ცენტრი დაინტერესებულ პირთათვის უზრუნველყოფს სწავლების ორგანიზებას მათთვის საინტერესო სხვა საკითხებზე.

ჯგუფებში მსმენელთა რაოდენობა შეზღუდულია. ჯგუფები კომპლექტდება წინასწარი ჩაწერით. სწავლება ფასიანია.

ჩვენთან თანამშრომლობა თქვენი პროფესიული და მატერიალური წარმატების საწინდარია.

„უნიდენტი" გადაგიჭრით ყველა პრობლემას სტომატოლოგიაში.

მოგვმართეთ ყოველდღე, გარდა კვირისა. სასურველია სამშაბათს და პარასკევს 10სთ-დან 11 სთ-მდე.

ჩვენი მისამართია: თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სტომატოლოგიური პოლიკლინიკა
ფირმა „უნიდენტის" სასწავლო-პრაქტიკული ცენტრი.
380002, თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი 126. ტელ: 96-71-26.


თბილისის ხუროთმოძღვრება



# ვორონცოვის ხიდი

გასული საუკუნის ოცდაათიანი წლებიდან ქალაქის ტერიტორიების ზრდამ მდინარე მტკვარზე ახალი ხიდების აგების აუცილებლობა გამოიწვია. ჩუღურეთი და კუკია უნდა დაკავშირებოდა მტკვრის მარჯვენა სანაპიროს. ადრე მარქსის სახელობის ხიდის მიდამოებში ხის დროებითი ხიდი იყო, რომელსაც ხშირად იტაცებდა მტკვარი.

დღის წესრიგში დადგა ქვის ხიდის მშენებლობა ჯერ კიდევ მთავარმართებელ გენერალ ერმოლოვის დროს, მაგრამ პროექტი უსახსრობის გამო არ განხორციელდა.

ხიდის აგება დაიწყო მთავარმართებელ მიხეილ ვორონცოვის დროს. ორი ნაწილისგან შემდგარ ხიდს მტკვარზე არსებული მადათოვის კუნძულიც უნდა გაევლო.

ვორონცოვის ხიდის პროექტი შეიმუშავა იტალიელმა არქიტექტორმა ჯოვანი სკუდიერიმ. 1851 წელს თბილისის ერთ-ერთი ტაძრის მშენებლობისას ჯოვანი სკუდიერი სასიკვდილოდ დაშავდა. ხიდის პროექტის ხელმეორედ დამუშავება ითავა ს.ბლიკსმა. მშენებლობას სათავეში ედგა პირველი ქართველი ჰიდრავლიკოსი კონსტანტინე ბაგრატიონი.

ახალი ხიდი 1858 წლის 8 ნოემბერს გაიხსნა და მთავარმართებლის პატივსაცემად მიხეილ ვორონცოვის სახელი უწოდეს. თვით მთავარმართებელი ხიდის გახსნას მოგვიანებით დასწრებია. შეკრებილ ხალხს მისთვის პატივისცემის ნიშნად ხიდზე პირველი გავლა უთხოვია. ამ მოვლენასთან დაკავშირებით ილუმინაციებიც მოწყობილა.

ხიდი 1964 წელს გადაკეთდა და გაფართოვდა: ჯოვანი სკუდიერის დროინდელი კონსტრუქციიდან მარცხენა მხარეს შემორჩენილია თლილი ქვით ნაგები 32 მეტრიანი თაღოვანი მალი. ვორონცოვის დიდი ხიდის ძველი ნაწილები 1961 წელს შეიცვალა. საგულისხმოა ის, რომ ახალი ხიდის მშენებლობისას გამოიყენეს ძველი ბურჯები და შეინარჩუნეს თაღების მოყვანილობის 5-მალიანი კონსტრუქცია.

თამაზ ქიქავა

ავტორის ფოტო

პრეს-მერიდიანი

# რუსული ჰუმანიზმის გაუქმებული თეატრი

1994 წლის 19 დეკემბერს მოსკოვის არქიტექტორთა სახლში ჩატარდა ყველაზე გახმაურებული ლიტერატურული პრემიის „ბუკერის" გადაცემის ცერემონიალი. როგორც წლის საუკეთესო რუსულ ნაწარმოებს, პრემია წილად ხვდა ბულატ ოკუჯავას რომანს „გაუქმებული თეატრი". ეს მოვლენა სხვადასხვაგვარად გააშუქა რუსულმა პრესამ. გაზეთ „იზვესტიას" კორესპონდენტი კონსტანტინ კედროვი აშკარად კეთილგანწყობილია „ბუკერის" მფლობელის მიმართ, თუმცა, სტატიის დასაწყისში აღნიშნავს, რომ ბულატ ოკუჯავას რეალისტური პროზა ნაკლებად ღირსშესანიშნავია ესთეტიკური ხედვის თვალსაზრისით, რაც საერთო დამახასიათებელი ნიშანია 60-იანელთა პროზისთვის (ვასილი აკსიონოვიდან ფაზილ ისკანდერსა და ბულატ ოკუჯავამდე), შემდგომ შესანიშნავ მხატვარს უწოდებს მწერალს, რომელიც შეურაცხყოფილი მოსკოველი და თბილისელი ინტელიგენტების პორტრეტებს ხატავს თავის პროზასა თუ პოეზიაში.

კონსტანტინ კედროვს მოსწონს ბულატ ოკუჯავას ყოველთვის იოლად საცნობი, ოდნავ არტისტული სტილი, მისი რომანის თემატიკა და იდეა, რასაც ნამდვილად ვერ ვიტყვით „ნეზავისიმაია გაზეტას" კორესპონდენტ ვიქტორია შოხინაზე, რომელიც რისხვით ატყდება თავს საბრალო ლაურეატს:

„19 დეკემბერს, არქიტექტორთა სახლში ბუკერის პრემიის გადაცემას მოულოდნელობის მაგივრად იმედის გაცრუება მოჰყვა. სამართლიანობის გრძნობა არ შეურაცხყვია მხოლოდ მცირე ბუკერს, რომელიც საუკეთესო პროვინციულ ჟურნალს, „სარატოვსკი ვოლგას" გადაეცა. მაგრამ როდესაც ჟიურის წარმომადგენელმა ლევ ანინსკიმ მთავარი ლაურეატის გვარი დაასახელა, დარბაზში კანტი-კუნტ აპლოდისმენტებთან ერთად სტვენა გაისმა. ასეთი რამ, ბუკერის ცერემონიალზე პირველად მოხდა. გასაგებიცაა: დაასახელო ბულატ ოკუჯავას „გაუქმებული თეატრი", თუნდაც რომელიმე წლის „საუკეთესო რუსულ რომანად" — საკუთარი თავისთვის ესთეტიკური განაჩენის გამოტანას ნიშნავს (თუნდაც, ამით პოლიტიკურად მოგებული დარჩე).

სამწუხაროა იმის აღიარება, რომ 60-იანელები დიდ ასპარეზზე გამოვიდნენ.

რას ვიზამთ, ბატონო „94 წლის ბუკეროველებო", იკითხეთ ღამ-ღამობით უნიჭო ნაწარმოები, რომელსაც „გაუქმებული თეატრი" ჰქვია. კარგი მწერლები როგორმე უთქვენოდაც გავლენ ფონს, როგორც ამას აქამდეც აკეთებდნენ.

აი, სათაური კი, მართლაც მიზანში ხვდება! თეატრი ნამდვილად გააუქმეს, ბუკერისთვის თვალის დევნება უინტერესო გახდა, მით უმეტეს, რომ გაისად ბუკერი მთლად ჩვენი თანამემამულეების ხელში გადავა. „მე წინააღმდეგი ვიყავი ამ გადაწყვეტილებისა, — ამბობს პროფესორი მარტინ დიუხერსტი, — მაგრამ, როგორც ყოველთვის, უმცირესობაში აღმოვჩნდი. იმედი მაქვს, როდესმე მაინც შეიკრიბება საერთაშორისო ჟიური. ჩვენ რუსულ ლიტერატურას ფართო საერთაშორისო კონტექსტში ვკითხულობთ, ახლა კი საერთაშორისო პრემია პროვინციალურად გადაქცევის საშიშროების წინაშე დგას". რასაც ყველა თქვენგანს ვულოცავთ!"

ვიქტორია შოხინას მოლოცვა ქართველებს ნაკლებად გვეხება. ბულატ ოკუჯავა კი, ამდენი შეურაცხყოფის შემდეგ, ალბათ გულწრფელად ნანობს, საქართველოში რომ არ დარჩა, თუნდაც ყოველწლიური ლიტერატურული პრემიის გარეშე.

[illegible]

ნიკოლოზ [illegible]

რომელ დღეს რა მოხდა

## 22 იანვარი

1561 — დაიბადა ფრენსის ბეკონი, ცნობილი ინგლისელი ფილოსოფოსი.

1784 — თბილისში ჩატარდა რუსეთთან ხელშეკრულების დადების საზეიმო ცერემონიალი. ერეკლე მეორემ დაიფიცა რუსეთის ტახტის ერთგულებაზე. მეფეს გადაეცა ეკატერინე II-ის მიერ გამოგზავნილი სამეფო რეგალიები და საჩუქრები. რუსულმა ზარბაზნებმა 101-ჯერ მისცეს სალუტი.

1845 — დიმიტრი ყიფიანი ქორწინდება გიორგი (იაგორ) ჭილაშვილის ქალიშვილ ნინოზე.

1858 — დაიბადა გრიგოლ ყიფშიძე, ქართველი მწერალი და პუბლიცისტი.

1875 — აშშ-ში კენტუკის შტატის ქალაქ ლა გრაინჯში დაიბადა დევიდ უორკ გრიფიტი, მსოფლიოს კინოს კლასიკოსი, „შეუწყნარებლობისა" და „ერის დაბადების" ავტორი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## წყალს

**თემურ ყაზარაშვილი** (თავისუფალი და ბერძნულ-რომაული ჭიდაობების ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი): ამჟამად ჩვენი უმთავრესი საზრუნავი ამ სახეობების გადარჩენა და სპორტსმენების შენარჩუნება გახლავთ. უსახსრობის გამო მწვრთნელების კრიზისიც გვაქვს — როგორ შეიძლება რაიმე მოთხოვნების წაყენება, როცა მათი ხელფასი სულ 3,5 მილიონი კუპონია. როგორც თავად დარწმუნდით, საწვრთნელ დარბაზში ძალიან ცივა, მაგრამ მოჭიდავეები მაინც ვარჯიშობენ. საერთოდ, ჩვენში ჭიდაობას იმდენ ყურადღებას რომ აქცევდნენ, რამდენსაც მოთხოვნებს უყენებენ, საქმე კარგად იქნებოდა. მაგრამ, სამწუხაროდ, ასე არ არის.

1995 წელს, როგორც თავისუფალი, ასევე ბერძნულ-რომაული სტილის მოჭიდავეებს (4 ასაკობრივ ჯგუფს) რამდენიმე საპასუხისმგებლო შეჯიბრებაში მოუწევთ გამოსვლა, მაგრამ უსახსრობის გამო, შესაძლოა, ყველა ჩანაფიქრი ვერ განვახორციელოთ.

ახლა თანმიმდევრობით ჩამოგითვლით იმ შეჯიბრებებს, რომელშიც ჩვენმა მოჭიდავეებმა უნდა მიიღონ მონაწილეობა: თავისუფალი სტილი. დიდები — საქართველოს ჩემპიონატი (28 მარტი — 1 აპრილი, ქ.თბილისი); ევროპის ჩემპიონატი (მაისი, ქ.ფრიბურგი, შვეიცარია); ვეტერანთა მსოფლიო ჩემპიონატი (14-18 ივნისი, ქ.სოფია, ბულგარეთი); მსოფლიო ჩემპიონატი (9-13 აგვისტო, ქ.ატლანტა, აშშ).

1975-76 წ.წ. დაბადებული ახალგაზრდები — საქართველოს ჩემპიონატი (19-21 აპრილი, ქ.გორი); მსოფლიო ჩემპიონატი (4-9 ივლისი, შეჯიბრების გამართვის ადგილი ჯერჯერობით უცნობია).

1977-78 წ.წ. დაბადებული ჭაბუკები — საქართველოს ჩემპიონატი (12-14 აპრილი, ქ.გორი); ევროპის ჩემპიონატი (6-10 ივლისი, ქ.ვიტენი, გერმანია).

1979-80 წ.წ. დაბადებული ჭაბუკები (კადეტები) — საქართველოს ჩემპიონატი (2-5 მაისი, ქ.თბილისი); მსოფლიო ჩემპიონატი (21-25 ივლისი, ქ.ბუდაპეშტი, უნგრეთი).

ბერძნულ-რომაული სტილი. დიდები — ევროპის ჩემპიონატი (26-29 აპრილი, ქ.ბეზანსონი, საფრანგეთი); საქართველოს ჩემპიონატი (14-17 ივნისი, ქ.თბილისი); მსოფლიო ჩემპიონატი (12-15 ოქტომბერი, ქ.პრაღა, ჩეხეთი).

1975-76 წ.წ. დაბადებული ახალგაზრდები — მსოფლიო ჩემპიონატი (9-14 ივლისი, ქ.თეირანი, ირანი).

1977-78 წ.წ. დაბადებული ჭაბუკები — ევროპის ჩემპიონატი (10-14 ივლისი, ქ.ვიტენი, გერმანია).

1979-80 წ.წ. დაბადებული ჭაბუკები (კადეტები) — მსოფლიო ჩემპიონატი (25-30 ივლისი, ქ.ბუდაპეშტი, უნგრეთი).

**გივი ცქიტიშვილი** (სპორტის საწყლოსნო სახეობების ფედერაციის პრეზიდენტი): ბოლო წლებში საქართველოში შექმნილმა ვითარებამ სპორტში ყველაზე მეტად საწყლოსნო სახეობები დააზარალა. როცა რესპუბლიკის არც ერთი აუზი არ ფუნქციონირებს, რაიმე წარმატებაზე ფიქრიც კი ძნელია. ცნობილი სპორტსმენები იძულებულნი გახდნენ, დიდ სპორტს ჩამოსცილებოდნენ. სპორტის საწყლოსნო სახეობები, ფაქტობრივად, ყველას თვალწინ სულს ლაფავს. ამჟამად მთელი ჩვენი მცდელობა მათი გადარჩენისკენ არის მიმართული. გვსურს, რამდენიმე ნიჭიერი სპორტსმენი მაინც ალვზარდოთ, რათა საწყლოსნო სახეობებმა არსებობა არ შეწყვიტოს. კურსი ახალგაზრდებზე ავიღეთ. დღესდღეობით არც ერთი სპორტსმენი მონაწილეობას არ იღებს უფროსების შეჯიბრებებში, ყველანი ახალგაზრდულ პირველობებზე გამოგვყავს, რათა თანდათანობით კლასი აიმაღლონ და მომავალში ძლიერ სპორტსმენებად ჩამოყალიბდნენ.

ერთ-ერთი ასეთი ნიჭიერი ახალგაზრდა 15 წლის წყალში მხტომელი ნანა ყაზარაშვილია, რომელზეც ჩვენ დიდ იმედებს ვამყარებთ. მან ორჯერ მიიღო მონაწილეობა იუნიორთა ევროპის ჩემპიონატში და თანდათან შედეგებიც გააუმჯობესა, კერძოდ, თუკი 1993 წელს სტამბოლში მეცამეტე იყო, შარშან პარდუბიცეში (ჩეხეთი) გამართულ ევროპის პირველობაზე უკვე მეხუთე ადგილზე გავიდა. გარდა ამისა, ნანამ პირველი ადგილი დაიკავა კიოლნის საერთაშორისო ტურნირზე. გერმანელ სპეციალისტებს იგი იმდენად მოეწონათ, რომ იქვე დაიტოვეს და ვარჯიშსა და კვებასთან დაკავშირებული ყველანაირი ხარჯების ანაზღაურება თავად იკისრეს. გერმანელები ნანას არავითარ პირობებს არ უყენებენ და რა ვიცი, იქნებ ეს გოგონა მაინც შეგვენარჩუნებინა სამომავლოდ. წელს, ივლისის თვეში, ჟენევაში გაიმართება იუნიორთა ევროპის ჩემპიონატი წყალში ხტომაში, რომელშიც ნანა ყაზარაშვილი საქართველოს სახელით მიიღებს მონაწილეობას.

რაც შეეხება სინქრონულ ცურვას, მასში ევროპის იუნიორთა ჩემპიონატი 1994 წლის 23-26 ივლისს მოსკოვში ჩატარდა. სამი სახეობის ჯამში საქართველოს ნაკრებმა მეათე ადგილი დაიკავა. იმ პირობებში, რომელშიც ჩვენს გოგონებს მომზადება უწევთ, აღნიშნული შედეგი შეიძლება წარმატებად მივიჩნიოთ. 1995 წლის 19-23 ივლისს ბონში გაიმართება მსოფლიოს ჩემპიონატი იუნიორებს შორის. ყველაფერს ვილონებთ, რათა საქართველოს წარმომადგენლებმა ამ მეტად საპასუხისმგებლო ტურნირში მონაწილეობის მიღება შეძლონ.

დაგეგმილი გვაქვს მოცურავეების გაყვანაც იუნიორთა რამდენიმე შეჯიბრებაზე: წელს, ინგლისის ქალაქ ბათში ჩატარდება ევროპის ახალგაზრდული ოლიმპიური დღეები. ცურვაში მონაწილეობა უნდა მიიღონ 1980 წელს დაბადებულმა სპორტსმენებმა. ამჟამად შეჯიბრებისთვის მზადება მიმდინარეობს. საბოლოოდ, რამდენიმე კანდიდატიდან ერთი ვაჟი შეირჩევა, რომელიც ბათში საქართველოს ღირსებას დაიცავს. გარდა ამისა, ივლისში, ჟენევაში გაიმართება ევროპის ჩემპიონატი, რომელშიც მონაწილეობის მისაღებად რამდენიმე ახალგაზრდა მოცურავე ემზადება.

ამ ყველაფერს მხოლოდ ჩვენი ფედერაციის ძალები ვერ გავწვდებოდით, საქართველოს სპორტის დეპარტამენტი და სპორტის საწყლოსნო სახეობების კონფედერაციის პრეზიდენტი ბაკურ გულუა რომ არ გვეხმარებოდნენ და შეძლებისდაგვარად ხელს არ გვიწყობდნენ.

ესაუბრა
**გოჩა საითიძე**

### ჩოგბურთი

## მე[illegible]ი-მანიუკოვას დუეტი მე[illegible]მე წრეში გავიდა

[illegible]ტრალიის ღია ჩემპიონატში, [illegible]თეულთა თანრიგში განცდილი მარცხის შემდეგ, ლელა მესხი წარმატებით აგრძელებს ასპარეზობას წყვილთა თანრიგში. თბილისელი ჩოგბურთელი რუს ევგენია მანიუკოვასთან ერთად, შეჯიბრების მესამე წრეში გავიდა. პირველ ეტაპზე მათ მაგდალინა მალეევასა და შვენცის დუეტი დაამარცხეს ანგარიშით 6 : 1, 7 : 5, ხოლო მეორე წრეში კრუგერი-გრანთეს (გერმანია) დუეტს სძლიეს—6 : 2, 7 : 5.

AUSTRALIAN OPEN

### კალათბურთი

## NBA

**„ლეიკერსი" – „ფინიქსი" – 108 : 118**


მაიკლ ჯორდანი და ჩარლზ ბარკლი

ამ მატჩში თავი გამოიჩინეს „ლეიკერსის" მოთამაშემ ვან ეკსელმა, რომელმაც 35 ქულა შესძინა თავის გუნდს და „ფინიქსის" მოთამაშეებმა ბარკლიმ — 24 ქულა და მენინგმა — 20 ქულა.

**„იუტა-ჯაზი" – „დენვერი" – 114 : 88**

იუტელმა ჯეფ ხორნაჩეკმა გუნდს შესძინა 36 ქულა, ზედიზედ შეასრულა 11 სამქულიანი ტყორცნა, რითაც „ბოსტონ სელტიკსის" მოთამაშის სკოტ უიდმენის რეკორდი გაიმეორა. „იუტას" გუნდში გამოირჩეოდნენ კარლ მელოუნი — 22 ქულა და ანტუან ქარრი — 17 ქულა. „დენვერიდან" საუკეთესონი ელისი — (15 ქულა) და მუტომბო — (12 ქულა + 20 მოხსნა) იყვნენ.

**„ბოსტონი" – „ინდიანა" – 100 : 97**

დაძაბულ და საინტერესო შეხვედრაში „ბოსტონის" გამარჯვება მნიშვნელოვანწილად ბრაუნის — (25 ქულა + 11 გადაცემა) და უილკინსის — (20 ქულა) კარგმა თამაშმა განაპირობეს. „ინდიანას" რიგებში კი გუნდის ლიდერები მილერი — (23 ქულა) და სმიტი — (22 ქულა) გამოირჩეოდნენ.

**„ორლანდო" – „დეტროიტი" – 124 : 107**

ამ ორთაბრძოლაში აღსანიშნავია ო'ნილის ბრწყინვალე თამაში. მან გუნდს 37 ქულა შესძინა, ხოლო „დეტროიტის" მოთამაშემ დუმარსმა — 15 ქულა. ტრავმის გამო არ თამაშობდა ტომპსი.

**„შარლოტა" – „მინესოტა" – 100 : 91**

„შარლოტ ჰორნეთსმა" ზედიზედ მეშვიდე გამარჯვება მოიპოვა და თავისი კლუბის რეკორდი დაამყარა — საკუთარ მოედანზე 10 წაუგებელი მატჩი. გამარჯვებაში დიდი წვლილი შეიტანეს ლერი ჯონსონმა (23 ქულა + 10 მოხსნა + 10 გადაცემა) და მურნინგმა (23 ქულა). „მინესოტას" მოთამაშემ ლეიტნერმა თავის გუნდს 20 ქულა შესძინა.

**„ფილადელფია" – „ჩიკაგო" – 77 : 115**

ჩიკაგოელი კალათბურთელები მეორე მატჩს იგებენ ზედიზედ 30 ქულიანი სხვაობით. „ჩიკაგოს" გუნდიდან საუკეთესო იყო პიპენი — 21 ქულა, „ფილადელფიადან" რაიტი — 21 ქულა.

**„ჰიუსტონი" – „მაიამი" – 108 : 97**

ჰიუსტონელებმა 1982 წლის 9 იანვარს „დენვერ ნაგეთსის" მიერ დამყარებული რეკორდი გაიმეორეს — ერთ მეოთხედში 8 ზუსტი სამქულიანი ტყორცნა ჩააგდეს. „როკეთსის" ოთხმა მოთამაშემ ოცქულიან ზღვარს გადააბიჯა. სმიტი — 25 ქულა, ოლაჯუონი — 24 ქულა, მაქსველი — 23 ქულა, ორრ — 21 ქულა.

**„პორტლენდი" – „გოლდენსტეიტი" – 104 : 92**

ეს დამარცხება მეექვსეა ზედიზედ „გოლდენსტეიტისთვის". ამ შეხვედრაში „პორტლენდის" მოთამაშეებმა რობინსმა და სტრიკლინდმა თავის გუნდს შესძინეს 24-24 ქულა.

**„ატლანტიკის" დივიზიონი**

| | თ | მ | ნ | % |
|---|---|---|---|---|
| ორლანდო | 34 | 27 | 7 | 79,4 |
| ნიუ-იორკი | 31 | 19 | 12 | 61,3 |
| ბოსტონი | 33 | 14 | 19 | 42,4 |
| ნიუჯერსი | 36 | 13 | 23 | 36,1 |
| მაიამი | 32 | 10 | 22 | 31,3 |
| ფილადელფია | 32 | 10 | 22 | 31,3 |
| ვაშინგტონი | 32 | 7 | 25 | 21,9 |

**„ცენტრალური" დივიზიონი**

| | თ | მ | ნ | % |
|---|---|---|---|---|
| კლივლენდი | 32 | 21 | 11 | 65,6 |
| შარლოტა | 33 | 21 | 12 | 63,6 |
| ინდიანა | 32 | 19 | 13 | 59,4 |
| ჩიკაგო | 33 | 18 | 15 | 54,5 |
| ატლანტა | 34 | 15 | 19 | 44,1 |
| მილუოკი | 33 | 11 | 22 | 33,3 |
| დეტროიტი | 31 | 10 | 21 | 32,3 |

**„შუა დასავლეთის" დივიზიონი**

| | თ | მ | ნ | % |
|---|---|---|---|---|
| იუტა | 33 | 23 | 10 | 69,7 |
| ჰიუსტონი | 31 | 21 | 10 | 67,7 |
| სან-ანტონიო | 29 | 19 | 10 | 65,5 |
| დენვერი | 32 | 16 | 16 | 50,0 |
| დალასი | 30 | 15 | 15 | 50,0 |
| მინესოტა | 32 | 6 | 26 | 18,8 |

**„წყნარი ოკეანის" დივიზიონი**

| | თ | მ | ნ | % |
|---|---|---|---|---|
| ფინიქსი | 33 | 26 | 7 | 78,8 |
| სიეტლი | 31 | 22 | 9 | 71,0 |
| ლეიკერსი | 31 | 20 | 11 | 64,5 |
| საკრამენტო | 32 | 18 | 14 | 56,3 |
| პორტლენდი | 32 | 18 | 14 | 56,3 |
| გოლდენ სტეიტი | 31 | 10 | 21 | 32,3 |

### მოკლედ

## საქველმოქმედო მატჩი


ფოტო რეპროდ.

გერმანიის თასის მფლობელი ბრემენის „ვერდერი" 7 თებერვალს საქველმოქმედო მატჩში შვედეთის „გეტებორგს" მიიღებს, რომელიც ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალში მიუნხენის „ბავარიის" მეტოქეა. მატჩის მთელი შემოსავალი — სავარაუდოდ 100 ათასი მარკა — ბოსნიის ქალაქ მოსტარის აღდგენას მოხმარდება. ქალაქის აღდგენით საქმიანობას ამჟამად ცდილობს ბრემენის ყოფილი ბურგომისტრი, დღესდღეობით კი ევროკავშირის ადმინისტრატორი ჰანს კოშნიკი.

## მექსიკა არ თმობს

მექსიკამ გამოთქვა სურვილი 2002 წლის ფეხბურთელთა მსოფლიოს ჩემპიონატს უმასპინძლოს. ამით იგი კონკურენციას უწევს იაპონიას და კორეას, რომლებმაც ანალოგიური განცხადება შედარებით ადრე გააკეთეს. ფიფას მოთხოვნათა შესაბამისად, სამივე პრეტენდენტი ვალდებულია 28 თებერვლამდე დაადასტუროს ან უარყოს თავისი განცხადება. ჩემპიონატის ორგანიზატორ ქვეყანას დაასახელებენ 1996 წლის ივნისში, ფიფას აღმასკომის სხდომაზე. ცნობილია, რომ მექსიკაში უკვე გაიმართა 1970 და 1986 წლის მსოფლიოს ჩემპიონატები.

GEORGIAN MARITIME BANK



საქართველოს საზღვაო ბანკი

საქართველოს საზღვაო სააქციო კომერციული ბანკი
ბათუმი, 384517
გოგებაშვილის №60.
ტ.: 3-54-69, 2-00-50
ფაქსი: 873 1405477
ტელექსი: 412616 GESC SU

THE GEORGIAN MARITIME BANK
60, Gogebashvili
Batumi, 384517
Republic of Georgia
Phone: 2-00-50, 3-54-69
Fax: (873) 1405477
Telex: 412616

საზღვაო ბანკი მომავლის ბანკია.

მომსახურება მინიმალური ტარიფებით

საერთაშორისო საბანკო ოპერაციები სამი საბანკო დღისვადაში

ვალუტის კონვერტაცია

ნაღდი ფულის ინკასაცია

გაცვეთილი ფულადი ნიშნების შესყიდვა

GMB

## განცხადებები

**იყიდება**

2,5 ოთახიანი ბინა თემქაზე. მე-3 მიკრორაიონი მე-2 კვარტალი, 30-ე კორპუსი, პირველი სადარბაზო, მე-8 სართული, ბინა 24. (სახლი 9 სართულიანია). იკითხეთ დოლიძე.

\+ + +

საკუთარი სახლი 100 კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართით, დიდი ნაკვეთით, გარაჟით, სარდაფით. საკუთარი გათბობით. კალონკით, ტელეფონით. მისამართი: კოლექტივიზაციის ქუჩა N 81. (ციკვიძის ბაღთან). ტელ.: 66-40-67.

\+ + +

კეთილმოწყობილი ორსართულიანი ბინა 11 ოთახითა და ყველა სათავსოთი ნაძალადევის რაიონში. აქვს 300 კვ.მ. ეზო. ეზოში მსხმოიარე ყველანაირი ხეხილით. საწყისი ფასი 13000 დოლარი. მისამართი: ნაძალადევის რაიონი. კოლექტივიზაციის III შესახვევი N 26. იკითხეთ ვანო (ციკვიძის პარკის მიმდებარე ტერიტორია).

\+ + +

2 ოთახიანი ბინა 46 კვ.მ. ფართით, დიდი ლოჯით, სამზარეულოთი, ტუალეტითა და აბაზანით. ბინა ახალი გარემონტებულია. მისამართი: გრიშაშვილის ქუჩა N 45. ფასი 4.500 დოლარი. ბინის ნახვა შეიძლება ნებისმიერ დროს.

\+ + +

3 ოთახიანი გარემონტებული ბინა, კერძო, სამსართულიანი სახლის მე-2 სართულზე. საერთო ფართია 80 კვ.მ. ბინა კეთილმოწყობილი და იზოლირებულია. მისამართი: ლესელიძის ჩიხი N 8. ტელ.: 98-49-64.

\+ + +

ჩეხური პროექტის 4 ოთახიანი ბინა მე-3 სართულზე. სარდაფით, გარაჟით. მოსკოვის პროსპექტის ბოლოში. ტელ.: 71-93-11.

\+ + +

3 ოთახიანი ბინა დიღმის მასივში. კინოთეატრ „თბილისთან". ტელ.: 95-97-98. იკითხეთ ჯონი.

**ქირავდება**

1 ოთახიანი იზოლირებული ბინა ჩიქობავას 31-ში (ყოფილი საბჭოს ქუჩა) ტელ.: 96-64-06. იკითხეთ ლია და მაია.

\+ + +

1 ოთახი დიდუბის მეტროსთან ახლოს. მისამართი წყალტუბოს ქუჩა N 29. ტელ.: 34-29-13.

\+ + +

2 ოთახიანი იზოლირებული ბინა ავეჯით და ტელეფონით თავისუფლების მოედანთან, მაჩაბლის ქუჩაზე. ფასი შეთანხმებით. ტელ.: 22-05-88; 99-63-25.



მრავალდარგოვანი სავაჭრო-კომერციული ფირმა
იაგუარი-2
ჩვენთან ურთიერთობა თქვენი წარმატების საწინდარია
ბათუმი, ახალსოფელი

სარედაქციო კოლეგია:

ვასილ მაღლაფერიძე (სარედაქციო კოლეგიის თავმჯდომარე), მამუკა ფაჩუაშვილი (მთავარი რედაქტორი), პაატა ვეშაპიძე (პოლიტიკა), გივი ბოლოთაშვილი (უცხოეთი), დავით კახაბერი („თვალსაწიერი"), შადიმან შამანაძე (პუბლიცისტიკა), ვახტანგ სალია (გაზეთის დირექტორი), ბონდო მძინარაშვილი (პასუხისმგებელი მდივანი).

რედაქციის მისამართი: თბილისი, პეტრიაშვილის №7. ტელეფონი: 29-48-05; ფაქსი: 29-48-05.